სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

აკადემიური წლის ანგარიში

2024-2025 აკადემიური წელი

ელ-ფოსტა: info@sabauni.edu.ge

ვებ-გვერდი: www.sabauni.edu.ge

ტელ: (+995 32) 2 42 22 42

მისამართი: კ. ქუთათელაძის ქ. №3, თბილისი, 0186

შინაარსი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი 3

სამართლის ფაკულტეტი 15

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი 18

თეოლოგიის ფაკულტეტი 23

მედიცინის ფაკულტეტი 27

უცხო ენების ცენტრი 28

სასწავლო პროცესის მართვის სამსახური 29

აკადემიური კვლევის დაგეგმვისა და განვითარების სამსახური 31

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური 37

ხარისხის მართვის სამსახური 39

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური 43

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური 49

იურისტი 56

ბიბლიოთეკა 57

საქმისწარმოების სამსახური 58

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

2024-2025 სასწავლო წელს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ეფექტურად ახორციელებს ხუთ საგანმანათლებლო პროგრამას. კერძოდ, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ,,ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის" სამაგისტრო პროგრამის შემუშავება დასრულდა აკრედიტაციის მისაღებად, ჩატარდა შრომის ბაზრის ანალიზი, დასრულდა სასწავლო კურსების სილაბუსებზე მუშაობა, მომზადდა პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, სილაბუსები და პროგრამა ითარგმნა ინგლისურ ენაზე, პარტნიორ ორგანიზაციებთან მემორანდუმების გაფორმების პროცესი დასრულდა და 2025 წლის იანვარში შეტანილი იქნა განაცხადი პროგრამის აკრედიტაციის მისაღებად. ა.წ. 09 ივლისს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა. უახლოეს პერიოდში ველოდებით პროგრამის აკრედიტაციის წარმატებით დასრულებას. გარდა ამისა, ,,აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების" სამაგისტრო პროგრამა აკრედიტაციის მისაღებად სრულად მომზადდა და განაცხადი შეტანილ იქნა. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით „აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების“ სამაგისტრო პროგრამას სრული უპირობო აკრედიტაცია მიენიჭა 2025 წლის 08 ივლისს. 2025-26 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში პროგრამა მიიღებს მაგისტრანტებს.

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დღის წესრიგში დადგა „შედარებითი და საერთაშორისო განათლების“ სამაგისტრო პროგრამის შემუშავება. დაიგეგმა მოსამზადებელი სამუშაოები, განხორციელდა პროგრამის დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები, განხორციელდა მოსამზადებელი ეტაპები, დაწყებულია შრომის ბაზრის მოკვლევა და სილაბუსებზე მუშაობა. ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაზე - "მასწავლებელი" მუშაობა დაიწყება და გაგრძელდება 2025-2026 აკადემიური წლის განმავლობაში. ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე მუშაობა განახლდება 2025-2026 აკადემიური წლის განმავლობაში.

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი და დეკანის თანაშემწე, თითოეული სემესტრის დასაწყისსა და სემესტრის მანძილზე, სისტემატიურად ახორციელებდნენ სტუდენტებთან

შეხვედრებს აკადემიური რეგისტრაციებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და განხილვის მიზნით. სტუდენტთა საჭიროებებისა და ინტერესების გამოკვეთა და დადგენა სტუდენტებთან შეხვედრების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა. შეხვედრები დისკუსიის ფორმატში მიმდინარეობდა, რა დროსაც სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ საკუთარი ინტერესები და საჭიროებები დაეფიქსირებინათ და გამოეთქვათ მოსაზრებები. ამავე შეხვედრების ფორმატში შესაძლებელი იყო სტუდენტების ინტერესის საგნის გამოკვეთა კურიკულუმსგარე აქტივობების მიმართულებითაც, რომელთა დაგეგმვასა და განხორციელებას სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაცია აქტიურ რეჟიმში ახორციელებდა.

ფაკულტეტის ადმინისტრაცია დეკანის, დეკანის თანაშემწისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების ჩართულობით, სტუდენტებისა და აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალისთვის სისტემატიურად მართავდა შეხვედრებს სასწავლო პროცესთან, საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსისა და კურიკულუმის, მიმდინარე საკითხებთან და სხვ. დაკავშირებით. ამასთანავე, სისტემატიური სახე ჰქონდა სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიურ ან/და მოწვეულ პერსონალთან სასწავლო პროცესის განვითარებისა და დახვეწის მიზნით შეხვედრებს, მათი საჭიროებებისა და ინტერესების დადგენას.

საანგარიშო პერიოდში სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებისა და სასწავლო პროფესის ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით თვეში მინიმუმ ერთხელ ან მეტჯერ (საჭიროებისამებრ) ჩატარდა სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომები, რომელთა დღის წესრიგი განისაზღვრა როგორც არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სილაბუსებში ცვლილებების განხორციელების, ასევე აკრედიტაციის მიღების მიზნით „აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოებისა“ და „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში პოტენციურ დამსაქმებლებისთვის, პროგრამებში ჩართული აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალისთვის, სტუდენტებისა და სხვ. დაინტერესებული პირებისთვის პროგრამის პროექტის მიზნებისა და შედეგების, კურიკულუმის გაცნობისა და მათგან რეკომენდაციების მიღებისა და მოსაზრებების გაზიარების მიზნითა და პროგრამების დამტკიცების კუთხით. არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სილაბუსებში ცვლილებების შეტანა განპირობებული იყო რამდენიმე მიზეზით. კერძოდ, სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესისა და გარემოს, სტუდენტის მიერ აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალის, აგრეთვე, აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესისა და გარემოს გამოკითხვის შედეგების საფუძველზე. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისა და დეკანის რეკომენდაციების თანახმად, ცვლილებები ძირითადად წარმოდგენილი იყო ძირითადი

ლიტერატურის განახლების, უკვე არსებული ლიტერატურის უახლესი გამოცემებით ჩანაცვლების, შეფასების მეთოდებისა და ფორმების ცვლილების, კურსის შინაარსის განახლების სახით, რომელთა განხორციელების ძირითადი მიზეზი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების დახვეწასა და განახლებას წარმოადგენდა.

საანგარიშო პერიოდში, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებმა Erasmus+ გაცვლითი პროგრამის, FUCE-ისა და Baden-Wurttemberg სტიპენდიების ფარგლებში ერთი სემესტრი ისწავლეს პარტნიორ უნივერსიტეტებში. კერძოდ,

1. ვალენსიის კათოლიკური უნივერსიტეტი - ფსიქოლოგიის პროგრამის 1 სტუდენტი;
2. ოლომოუცის პალაცკის უნივერსიტეტი - საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის 1 სტუდენტი;
3. პეტერ პაზმანის კათოლიკური უნივერსიტეტი - ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის 3 სტუდენტი;
4. ფრაიბურგის კათოლიკური უნივერსიტეტი - სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის 1 სტუდენტი;
5. აკადემია იგნატიანუმი - ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის 2 სტუდენტი.

ამავე დროს, ფაკულტეტის ადმინისტრაციამ საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერთან ერთად, Erasmus+ პერსონალის სასწავლო მობილობის პროგრამის ფარგლებში, უმასპინძლა პეტერ პაზმანის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორს ზოლტან ეგერეშს. პროფესორმა ეგერეშმა ვიზიტის ფარგლებში სამუშაო შეხვედრები გამართა როგორც ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერთან, რა დროსაც მხარეებმა განიხილეს უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების გზები და ერთობლივი პროექტები. პროფესორმა ზოლტან ეგერეშმა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ჩაატარა საჯარო ლექცია და მრგვალი მაგიდა თემაზე: ბალკანეთის/სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თანამედროვე გეოპოლიტიკა.

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციამ და საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერმა უმასპინძლეს კრაკოვის იოანე პავლე II-ის პონტიფიკური უნივერსიტეტის დელეგაციას. პროფესორებმა, ბატონმა გჟეგორზ გოდავამ და ქალბატონმა მონიკა პირჩაკ-პიეგამ, მრგავლი მაგიდის ფორმატში მსმენელებს გაუზიარეს ინკლუზიური განათლების მიმართულებით პოლონური გამოცდილება. შეხვედრაზე განხილული იყო: სპეციალური და ოჯახის განათლების,

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უნივერსიტეტში ინტეგრაციასა და შშმ პირების თერაპიასთან დაკავშირებული მიდგომები და პრაქტიკული გამოცდილება.

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემდეგი აკადემიური პერსონალი Erasmus+ პერსონალის სასწავლო მობილობის პროგრამის ფარგლებში სტუმრობდნენ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პარტნიორ უნივერსიტეტებს:

1. ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში აკადემიური პერსონალის - ივანე ოქრომჭედლიშვილის მობილობა სოფიის წმინდა კლიმენტ ოჰრიდელის უნივერსიტეტი (ბულგარეთი), 27-30.05.2025, წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე ,,Presentation: “The Role of Civil Society in Strengthening National Preparedness for Modern Security Threats”;
2. Erasmus+ Mobility Agreement Staff Mobility For Teaching, The Pontifical University of Paul II in Krakow, 2025 წლის 8-15 მარტი; მობილობით მოსარგებლე პერსონალი: ნანი მანველიშვილი და ირაკლი ნოდია; ლექციების თემატიკა მიეძღვნა 1918-1921 წლების პოლონურ-ქართული ურთიერთობების ისტორიას, კულტურას და დიპლომატიურ ურთიერთობებს; ასევე მეორე მსოფლიო ომის დროს არსებულ პროპაგანდას;
3. ERASMUS+ სასწავლო გაცვლით პროგრამით, თამარ ქობულაძის მონაწილეობა ვალენსიის კათოლიკურ უნივერსიტეტში, 5-9 მაისს გამართულ საერთაშორისო კვირეულში, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინტერკურტურულობის თემას მიეძღვნა (UCV International Staff Week: Interculturality at HEIs);
4. 2025 წლის 2-6 ივნისს, სოფიო ნადირაძე მობილობით იმყოფებოდა ჩეხეთში, ოლომოუცის უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო კვირეულში The 10th Erasmus+ International Staff Week: Inclusion, Diversity & Equal Opportunities at Palacký University Olomouc მონაწილეობის მისაღებად;
5. სოფიო ნადირაძე ამერიკის საელჩოს გაცვლითი პროგრამით - Open World Program, დელეგატის სტატუსით იმყოფებოდა აშშ-ში მასაჩუსეტის შტატში;
6. ნატალია მჭედლიშვილი და ანა მენაღარიშვილი, 24-28 მარტს, Erasmus+ teaching mobility-ით იმყოფებოდნენ სლოვაკეთში, რუჟომბეროკის კათოლიკურ უნივერსიტეტში (Catholic University in Ružomberok; Faculty of Arts and Letters, Department of Psychology), სადაც ფსიქოლოგიის პროგრამის სტუდენტებს ჩაუტარეს ლექციები კლინიკური და სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებით;
7. შორენა გოგიაშვილმა 27-27 მაისს მონაწილეობა მიიღო ERASMUS+ სასწავლო და კვლევით გაცვლით პროგრამაში, იმყოფებოდა პეტერ პაზმანის კათოლიკურ უნივერსიტეტში, ბუდაპეშტში (უნგრეთი);

8. მიმდინარე წლის 7-11 აპრილს განხორციელდა Erasmus+ ფარგლებში ვერიკო ხუციშვილის მობილობა კრაკოვის იგნატიანუმის უნივერსიტეტში.
9. მარიამ ელიაძემ მონაწილეობა მიიღო Geneva Centre for Security Policy (GCSP)-ის მიერ, სხვადასხვა პოლიტიკური თემის ირგვლივ ორგანიზებულ საერთაშორისო დებატების/სადისკუსიო პანელის ციკლში (24.02.2025 - Three Year Anniversary of the Russo-Ukrainian War – A Geneva Security Debate; 01.04.2025 - 16.04.2025 - Addressing Challenges in Global Health Security – the virtual course; 05.06.2025 - International dimension of Neutrality - A Geneva Security Debate; 18.06.2025 - Thawing Ice, Rising Tensions: The Arctic at a Crossroads – A Geneva Security Debate).

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციამ, აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების აქტიური ჩართულობით, მიზნად დაისახა სხვადასხვა სახისა და შინაარსის კურიკულუმსგარე აქტივობისა და სამეცნიერო ღონისძიებების განხორციელება. აღნიშნულ კატეგორიაში მოიაზრება როგორც საჯარო ლექციების, ტრენინგ-კურსების, დებატები, პანელური დისკუსიების, სამეცნიერო და სტუდენტური კონფერენციებისა და სხვ. განხორციელება, ასევე ჟურნალების, თარგმანებისა და სხვ. გამოცემა.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ფაკულტეტზე ჩატარდა არაერთი კურიკულუმსგარე აქტივობა, მათ შორის საჯარო ლექციები, ტრენინგები, სადისკუსიო პანელები, საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სტუდენტური კონფერენცები, დებატები. კერძოდ:

1. 08.10.24, გაიმართა დისკუსია სახელწოდებით - ,,საქართველო გზაგასაყარზე - გეოპოლიტიკური პერსპექტივები“ (მომხსენებლები, დავით სიხარულიძე, გიგი გიგიაძე, მარიამ ელიაძე) დისკუსია დაეთმო საქართველოში მიმდინარე გეოპოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მსჯელობას, სადაც აქცენტი გაკეთდა ევროპული ღირებულებების მნიშვნელობაზე, იმ რთული პოლიტიკური სიტუაციისა და გეოპოლიტიკური გამოწვევების გათვალისწინებით, რაც რუსეთისგან მომდინარე გამოწვევებს უკავშირდება;
2. 09.10.2024, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის - „შიდსის ჯანდაცვის ფონდის საქართველოს ფილიალის“ (AHF) წარმომადგენლებმა ჩაატარეს ლექცია/მასტერ-კლასი აივ/შიდსზე ცნობიერების ამაღლებისა და პრევენციის მიზნით და საბაუნის ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებს შესთავაზეს გამხდარიყვნენ AHF საქართველოს ახალგაზრდულ ცენტრის წევრები და შესაბამისი მომზადება/ტრენინგების გავლის შემდეგ, თანასწორ-განმანათლებლის სტატუსით ხალგაზრდებში აივ-ის/შიდსის/სგგი-ის პრევენციისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის განათლების პროგრამაში ჩაერთვის შესაძლებლობა;

3. 31 ოქტომბერს, თეოლოგიის, სოციალურ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტების სტუდენტების მონაწილეობით გაიმართა პანელური დისკუსია თემაზე - ,,რატომ ევროპა?" ;
4. 2024 წლის 9, 16, 23, 30 ნოემბერს და 7, 14 დეკემბერს საბაუნის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და მიშელ მუსხელის ევროპული კვლევების ცენტრის ორგანიზებით გაიმართება ტრენინგების ციკლი სახელწოდებით: ,,სოციოლოგიური კვლევები ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში", რომელსაც უძღვებოდა გურამ ანანეიშვილი;
5. 27.01.2025, თამაზ ტუღუშმა ჩაატარა საინფორმაციო ლექცია "როგორ ვთქვათ გაცნობიერებული უარი ნარკოტიკზე";
6. 28-29 იანვარი, "ქონსორთ ჯორჯიასთან" თანამშრომლობით ჩატარდა ორდღიანი პროფესიული ტრენინგები: 1) ,,თანამედროვე ააკ სისტემები - გზა ეფექტური კომუნიკაციისკენ" და 2) ,,დამხმარე ტექნოლოგიების საჭიროებების შეფასება და დანერგვა ყოველდღიურ ცხოვრებაში: სტრატეგიები გრძელვადიანი წარმატებისთვის";
7. 21 თებერვალს სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტების ორგანიზებით გაიმართა დისკუსია თემაზე: ,,1921 წლის კონსტიტუცია ევროპულ კონტექსტში";
8. 26 თებერვალს პროფესორმა გიორგი თავაძემ ჩაატარა საჯარო ლექცია: "დიდ სივრცეებზე დამყარებული საერთაშორისო სამართალი: კარლ შმიტის სივრცობრივი პოლიტიკა";
9. 18 მარტს ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე - "შეიცანი და აღმოაჩინე ჩინეთი: ქართულ-ჩინური ურთიერთობა და სამომავლო პერსპექტივები"; ლექციას უძღვებოდნენ ალექსანდრა ლატარია, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, სინოლოგი და ჩინური ენის ლექტორი და მარიამ ფაცურია, პეკინის ენისა და კულტურის უნივერსიტეტის დოქტორანტი;
10. 27 მარტს ჩატარდა 1924 წლის აჯანყების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
11. 3 აპრილს ჩატარდა ანა კალანდაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო;
12. 15 აპრილს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამების სტუდენტების ინიცირებითა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მხარდაჭერით გაიმართა საქართველოში პოლიტიკური კრიზისის ფონზე არსებულ პროცესებზე დებატები Fishbowl ფორმატით;
13. 15 აპრილს პროფესორმა გიორგი თავაძემ ჩაატარა საჯარო ლექცია თმაზე: ,,სამართლიანი და უსამართლო ომები: მაიკლ უოლცერის მორალური არგუმენტებით" ;
14. 30 აპრილს გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე - ბალკანეთის/სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თანამედროვე გეოპოლიტიკა. შეხვედრას უძღვებოდა პეტერ პაზმანის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი ზოლტან ეგერეში;
15. 06 ივნისს გაიმართა VII საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენცია, რომელშიც საბაუნის

სტუდენტებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და წარადგინეს მოხსენებები ჰუმანიტარული, სოციალური და პოლიტიკის მეცნიერებების თემატურ პანელებში;

16. 10 ივნისს, გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომლის ფარგლებშიც კრაკოვის იოანე პავლე II-ის პონტიფიკური უნივერსიტეტის პროფესორებმა გჟეგორზ გოდავამ და მონიკა პირჩაკ-პიეგამ მსმენელებს გაუზიარეს ინკლუზიური განათლების მიმართულებით პოლონური გამოცდილება.

საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა და ჩატარდა სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,ტრანსფორმაციის ეტაპზე მყოფი საზოგადოებები" (Second International Scientific Conference, Societies in Transition). ასევე აქტიურად მიმდინარეობს მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება, რომელიც გაიმართება 2025 წელს.

მეორე ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,ტრანსფორმაციის ეტაპზე მყოფი საზოგადოებები" სამი მიმართულებით (პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების პანელი, ფსიქოლოგიის პანელი, განათლების პანელი) განხორციელდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც საქართველოს, ასევე საბაუნის პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორებმა. კონფერენცია მიზნად ისახავდა უახლეს კვლევებსა და პრაქტიკაზე დაყრდნობით მეცნიერების მიგნებების გაცნობას, აქტუალური გამოწვევების გაანალიზებას, მოსალოდნელი პრობლემების პრევენციისა და ინტერვენციის გზების/საშუალებების წარმოჩენას და მათი გამოყენების არსებული პრაქტიკის გაზიარებას.

სტუდენტების კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისა და წახალისების მიზნით, 06 ივნისს ჩატარდა VII საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენცია, რომელშიც საბაუნის სტუდენტებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და წარადგინეს მოხსენებები ჰუმანიტარული, სოციალური და პოლიტიკის მეცნიერებების თემატურ პანელებში. აღნიშნულის გარდა, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის, მზია ჯამაგიძის ორგანიზებით გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია: „ფუტუროლოგია და იმედი: პროგნოზები, შესაძლებლობები, გამოწვევები“, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 02.06. 2025.

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი მუშაობს ევროპის საგანმანათლებლო პროექტების/გრანტების მოპოვებაზე და წარმატებით ახორციელებს მათ. კერძოდ:

1. ევროკავშირის ფონდიდან DAAD-ის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პროექტის Grant agreement N 2-104 განხორციელება (ხელმძღვანელი მარი ელიაძე). პროქტის ფარგლებში სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა 5-დღიანი ტრენინგ-კურსი ახალგაზრდა ლიდერებისთვის, სახელწოდებით: ,,Differences make no difference". ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდებმა სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და საქართველოდან. პროექტი მთავარ ამოცანას წარმოადგენდა მონაწილეთა ცნობიერების ამაღლება ევროკავშირის როლის შესახებ სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ჰიბრიდული საფრთხეების, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. ტრენინგების ფარგლებში ახალგაზრდებმა გაიღრმავეს ცოდნა და უნარ-ჩვევები ევროპულ ფასეულობებსა და პოლიტიკაზე, რამაც ხელი შეუწყო მათი კავშირების გაძლიერებას რეგიონში;
2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი, 2025 წლის კონკურსი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების მხარდაჭერა. პროექტის სახელწოდება - „გაყალბებული ისტორიის მხილება: ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მაგალითზე“, ხელმძღვანელი - მაია მანჩხაშვილი. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 2024 წელს გამოცემული წიგნის – „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ისტორია“ - შესწავლა, გაანალიზება და შეფასება. პროექტის მიზანია საქართველოს ისტორიის წყაროებთან და სხვა გამოცემებთან ამ წიგნის შედარება, თითოეული გაყალბებული ფაქტისა და ამბის გამოვლენა, მათი აღრიცხვა და კვლევის შედეგებში ჩვენება;
3. გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის მიერ გამოცხადებული კვლევითი კონკურსი Joint Rustaveli-DAAD-fellowship programme, 2024; (პროექტის განხორციელების პერიოდი 01.09-01.12.2024; პროექტის ხელმძღვანელი - ნანი მანველიშვილი; პროექტის განხორციელების ადგილი ლუნებურგი/ჰამბურგი, გერმანია; პროექტის ფარგლებში 3 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა კვლევა ქალთა პოლიტიკურ პლაკატებზე რეპრეზენტაციის შესახებ მეორე მსოფლიო ომის დროს. სახელწოდება: Soviet Women in World War II (1939-1945): Perspectives from the Georgian Soviet Socialist Republic.)
4. Coimbra Group Scholarship საერთაშორისო პროექტის ხელმძღვანელი ნანი მანველიშვილი, (დაფინანსების შესახებ პასუხები ცნობილია მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, პეროექტის განხორციელების პერიოდი იქნება 10.2025-01.2026, ადგილი ჰაიდელბერის უნივერსიტეტი, გერმანია)
5. ავსტრალიური გრანტი: IDLDRC Developmental Language Disorder Research Grant 2024 - The DLD Project "START; გზამკვლევი დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში ენობრივი განვითარების დარღვევის მქონე ბავშვების იდენტიფიცირების, შეფასებისა და

მხარდაჭერისთვის"; პროექტის ხელმძღვანელი თამარ კალანდაძე (PhD) - ასოცირებული პროფესორი ოსტფოლდის უნივერსიტეტის კოლეჯის (ნორვეგია) სპეციალური განათლების, განვითარების მეცნიერებისა და ნეიროგანვითარებითი მდგომარეობების მიმართულებით; საბაუნიდან თამარ ქობულაძე კვლევითი ჯგუფის წევრი;

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსონალმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში. კერძოდ,

1. Okromtchedlishvili, Ivan. 2025. "The Role of Civil Society in Strengthening National Preparedness for Modern Security Threats." Paper presented at the Second International Scientific Conference Societies in Transition, Sulkhan-Saba Orbeliani University.
2. ჯამაგიძე, მზია (Jamagidze, Mzia). 2024. "ჰეტეროტემპორალობის კონცეფცია არჩილ ქიქოძის რომანში „ხვლიკი საფლავის ქვაზე“." Paper presented at the XVII International Symposium on Contemporary Problems in Literary Studies: Literatures of Small Countries and Challenges of the Contemporary Global World, Kutaisi, Georgia.
3. ჯოხაძე, ავთანდილ (Jokhadze, Avtandil). 2025. "აღიქვამდა თუ არა მტრულად ქართული საზოგადოება რომის ეკლესიას რუსული ძალმომრეობის ხანის დაწყებამდე?" Paper presented at the International Scientific Symposium on Catholic Heritage in Georgia, Sulkhan-Saba Orbeliani University, June 18.
4. Gogilashvili, Ana. 2025. "The Post-Soviet Era in Georgian Literature: Exploring the Works of 21st Century Georgian Authors, with a Focus on Nino Kharatishvili's Novel Lack of Light." Paper presented at the International Academic Forum, Barcelona.
5. Gogiashvili, Shorena. 2025. "Cross-Generational Dialogue Through Artificial Intelligence: Can Robots Foster Communication Between Youth and Elders?" Pázmány Péter Catholic University, Faculty of Humanities and Social Sciences, Budapest, May 27.
6. Gogiashvili, Shorena. 2025. “The Role of Gamified Learning in Improving Academic Performance and Satisfaction in Georgian HEIs.” Paper presented at the International Research Conference on English Education, Linguistics, and Translation (IRCEELT), IBSU, Tbilisi, May 2–3.
7. Gogiashvili, Shorena. 2025. "Gamified Learning in Higher Education: A Georgian Case Study." Paper presented at the 7th International Scientific Conference in Development Studies: 4E4W, Sulkhan-Saba Orbeliani University, Tbilisi, May 29.
8. Gogiashvili, Shorena. 2025. "The Role of Gamification in Enhancing Student Performance and Engagement in Georgian Universities." Paper presented at the Second International Conference on Societies in Transition, May 28.
9. Mchedlishvili, Natalia A. 2025. "A Qualitative Study of Georgian Youth Attitudes to Mental Health Issues." Paper presented at the Second International Scientific Conference Societies in Transition.
10. Benashvili, Maka. 2025. "The Role of Artificial Intelligence in Modern Diplomacy." Paper presented at SEU ISMC International Scientific-Practical Multidisciplinary Conference, Georgian National

University.

11. Benashvili, Maka. 2025. "Estonia's Digital Transformation: A Successful Model of E-Government." Paper presented at the IX International Scientific Conference, Business Technologies Faculty Administration, Georgian Technical University.
12. Mamaladze, Lela. 2025. Paper presented at the International Conference "The Efficiency of Legal Norms" – 14th Edition, The Rule of Law in the Age of Artificial Intelligence, Dimitrie Cantemir Christian University, Faculty of Law, Cluj-Napoca, Romania, May 16–18.
13. Mamaladze, Lela. 2025. Presentation at International Education Symposium, Educational Organisation "Key Consulting," Tbilisi, Georgia.
14. Eliadze, Marie, 2025, The Year in Focus – Georgia and Moldova: Common Threats, Different Dreams, Paper presented at the Second International Conference on Societies in Transition, May 28.
15. Chikhladze, Tornike. 2nd International Doctoral and Student Scientific Conference from Penitentiary Studies in the Service of the Idea of Security and Resocialization series entitled 'Penitentiary Studies towards the Realization of the Idea of a Retributive Justice System' (20-21 th November 2024; in Poland, Warsaw and Kalisz), topic: ,,Enhancing Rehabilitation in the Georgian Penitentiary System: A Psychological Perspective Based on Dimitri Uznadze's Theory of Set".
16. Darchashvili Manana, Manchkhashvili Maia. (2025). Environmental Protection: An Important Challenge of Modernity (Case of the European Parliament). 7th. International Conference in Development Studies, May 29.

მოხსენებები ნაციონალურ კონფერენციებზე:

1. ჯამაგიძე მზია „პოსტკოლონიური უტოპიანიზმი და ნაციონალური მომავლის გახსენება იოანე - ზოსიმეს ტექსტში ,,ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი". ნაციონალური სამეცნიერო კონფერენცია ფუტუროლოგია და იმედი: პროგნოზები, შესაძლებლობები, გამოწვევები" სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი 2025
2. ნოდია ირაკლი „პირველი მსოფლიო ომი და ქართველი საზოგადოება- განსხვავებული ხედვები, მოლოდინები, იმედი" ნაციონალური სამეცნიერო კონფერენცია ფუტუროლოგია და იმედი: პროგნოზები, შესაძლებლობები, გამოწვევები" სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი 2025; 20. გოგილაშვილი, ანა, 2024, საბჭოთა ეპოქა თანამედროვე ქართული მწერლობის თვალით ბესო სოლომანაშვილის „ლუმპენ მილენიუმი", ახალგაზრდა მეცნიერთა VI საერთაშორისო ინტერდისციპლინური სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (ISYSH-2024) - „ქართველოლოგიური კვლევები: ისტორია, თანამედროვეობა, პერსპექტივები";
3. გოგილაშვილი, ანა, 2024, პოსტსაბჭოთა ეპოქა 21-ე საუკუნის ქართველი მწერლების თვალით (ნინო ხარატიშვილის შემოქმედების მიხედვით)ქართულ ოსურ ურთიერთობათა დარეგულირებისთვის X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია;

4. გოგილაშვილი, ანა, 2024, აფხაზეთის კონფლიქტის პარადიგმა გოგა ქობალიას რომანში ,,ჩემი ყანა გადაიქცა მერცხლად", საქართველოს ეროვნული არქივის IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

საანგარიშო პერიოდში, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ მომზადდა და გამოიცა შემდეგი წიგნები და სახელმძღვანელოები:

1. გურამ ანანეიშვილის მიერ მომზადებული, ქართულენოვანი სახელმძღვანელო ,,სტრუქტურული ანალიზის საფუძვლები" ; ISBN 978-9941-8-7093-4;
2. ავთანდილ ჯოხაძის წიგნი ,,ერის სახელმწიფო"

წიგნის ,,ერის სახელმწიფო"-ს პრეზენტაცია გაიმართა თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე საგამოფენო ცენტრ ,,ექსპო ჯორჯია"-ში, სადაც კიდევ უფრო ფართო საზოგადოება გაეცნო სულხან-საბა ორბელაინის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ წიგნებსა. დასახელებული ორივე წიგნი, რამდენიმე დღის განმავლობაში წარმოდგენილი იყოს საბაუნის მიერ გამოცემული წიგნების სტენდზე.

საანგარიშო პერიოდში, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსონალის მიერ გამოქვეყნდა შემდეგი სამეცნიერო სტატიები/ნაშრომები:

1. Okromtchedlishvili, Ivan. “The Role of Civil Society in Strengthening National Preparedness for Modern Security Threats.” Bulletin of “Carol I” National Defence University 14, no. 2 (June 30, 2025): 167–99. https://doi.org/10.53477/2284-9378-25-22;
2. Okromtchedlishvili, Ivan. 2025. Joining NATO: a national end or a strategic means for Georgia?; BULLETIN OF "CAROL I" NATIONAL DEFENCE UNIVERSITY, Romania; Vol. 13 No. 3. e-ISSN 2284-9378; p-ISSN 2284-936X , https://doi.org/10.53477/2284-9378-24-35;
3. Eliadze Marie. 2025. “Threats to Democracy: Nationalism, Populism, Extremism and Christianity’s Response to Them.” In Ruch Biblijny i Liturgiczny, 90–95. Kraków: UNUM Publishing House. ISBN 978-83-7643-258-8. https://doi.org/10.21906/9788376432588;
4. Jamagidze, Mzia. “The Influence of Colonial Trauma on the Masculine Characteristics of Georgian Identity.” Journal of Global Postcolonial Studies, 12, no. 1 (2024): 122–35. https://doi.org/10.5744/jgps.2024.2233;
5. ჯამაგიძე, მზია (Jamagidze, Mzia). 2024. "ჰეტეროტემპორალობის კონცეფცია არჩილ ქიქოძის რომანში „ხვლიკი საფლავის ქვაზე“." Paper presented at the XVII International Symposium on Contemporary Problems in Literary Studies: Literatures of Small Countries and Challenges of the Contemporary Global World, Kutaisi, Georgia;
6. ჯოხაძე, ავთანდილ (Jokhadze, Avtandil). 2025. "აღიქვამდა თუ არა მტრულად ქართული საზოგადოება რომის ეკლესიას რუსული ძალმომრეობის ხანის დაწყებამდე?" Paper presented at the International Scientific Symposium on Catholic Heritage in Georgia, Sulkhan-Saba Orbeliani University, June 18;
7. Gogilashvili, Ana. 2025. "The Post-Soviet Era in Georgian Literature: Exploring the Works of 21st Century Georgian Authors, with a Focus on Nino Kharatishvili's Novel Lack of Light." Paper

presented at the International Academic Forum, Barcelona;

8. Gogiashvili, Shorena. 2025. "Cross-Generational Dialogue Through Artificial Intelligence: Can Robots Foster Communication Between Youth and Elders?" Pázmány Péter Catholic University, Faculty of Humanities and Social Sciences, Budapest, May 27;
9. Gogiashvili, Shorena. 2025. “The Role of Gamified Learning in Improving Academic Performance and Satisfaction in Georgian HEIs.” Paper presented at the International Research Conference on English Education, Linguistics, and Translation (IRCEELT), IBSU, Tbilisi, May 2–3;
10. Gogiashvili, Shorena. 2025. "Gamified Learning in Higher Education: A Georgian Case Study." Paper presented at the 7th International Scientific Conference in Development Studies: 4E4W, Sulkhan-Saba Orbeliani University, Tbilisi, May 29;
11. Gogiashvili, Shorena. 2025. "The Role of Gamification in Enhancing Student Performance and Engagement in Georgian Universities." Paper presented at the Second International Conference Societies in Transition, May 28.
12. Mchedlishvili, Natalia A. 2025. "A Qualitative Study of Georgian Youth Attitudes to Mental Health Issues." Paper presented at the Second International Scientific Conference Societies in Transition;
13. Benashvili, Maka. 2025. "The Role of Artificial Intelligence in Modern Diplomacy." Paper presented at SEU ISMC International Scientific-Practical Multidisciplinary Conference, Georgian National University;
14. Benashvili, Maka. 2025. "Estonia's Digital Transformation: A Successful Model of E-Government." Paper presented at the IX International Scientific Conference, Business Technologies Faculty Administration, Georgian Technical University;
15. Mamaladze, Lela. 2025. Paper presented at the International Conference "The Efficiency of Legal Norms" – 14th Edition The Rule of Law in the Age of Artificial Intelligence, Dimitrie Cantemir Christian University, Faculty of Law, Cluj-Napoca, Romania, May 16–18;
16. Mamaladze, Lela. 2025. Presentation at International Education Symposium, Educational Organisation "Key Consulting," Tbilisi, Georgia.
17. ანანეიშვილი, გურამ, (2024), პოლიტიკური ანომია და სამოქალაქო ომი; ტომ 6, ნომ. 7; ISSN 2667-9124; E ISSN 2720-8648; DOI: https://doi.org/10.52340/jo. 2024.06.07.05;
17. ჯამაგიძე მზია, “დროისა და სივრცის დასასრულის შიში ირაკლი სამსონაძის რომანში ‘ნუციკოდან ნუციკომდე.’” კრიტიკა 19 (2024): 120–30. ISSN 0206-5746.
18. ჯოხაძე ავთანდილ. “სახელმწიფო და მეორედ მოსვლა.” გული გონიერი 28 (2025): 143–63. ISSN 1512-3650. www.paseuloba.ge; www.iveriisa.ge;
19. Darchashvili Manana, Manchkhashvili Maia. (2024). Georgia’s European Choice During the First Democratic Republic (1918-1921). JOURNAL OF DEVELOPMENT STUDIES (JDS) VOL.5-NO.1, ISSN 2667-9922 ; DOI: https://doi.org/10.52340/jds.

აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებიდან გამომდინარეობს და მათთან სრულ შესაბამისობაშია.

სამართლის ფაკულტეტი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტმა 2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში არაერთი მიმართულებით განახორციელა აქტივობები, მათგან გამოიყოფა ის ძირითადი მიმართულებები, რომლებშიც ჩართულნი იყვნენ როგორც ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, ისე სტუდენტები, კერძოდ:

- სტუდენტებისთვის საგანამათლებლო ვიზიტები.
- საჯარო დებატების, ლექციების გამართვა, სადაც ჩართულნი იყვნენ როგორც სტუდენტები და ლექტორები, აგრეთვე მოწვეული სტუმრები.
- კვლევით და საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა.
- ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა.
- ტრენინგები სკოლის მოსწავლეებისთვის, რომელთაც უძღვებოდნენ სამართლის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი.
- წიგნების, ჟურნალების გამოცემა.

სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის დაიგეგმა ვიზიტები საქართველოს უზენაეს სასამართლოში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, სადაც სტუდენტებს თან ახლდნენ სამართლის ფაკულტეტის დეკანის თანაშემწე ელენე სიდამონიძე და სამართლის აფილირებული პროფესორი დიმიტრი გეგენავა.

სამართლის ფაკულტეტმა 2024-2025 სასწავლო წლის ფარგლებში გამართა არაერთი საჯარო ლექცია, სალონური საუბრები, მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრები, დებატები და ონლაინ დისკუსიები, რომლებსაც უძღვებოდნენ, მათ შორის: გიორგი გორაძე, დიმიტრი გეგენავა, ბესიკ ლოლაძე, ქეთევან ბახტაძე, იოსებ ედიშერაშვილი, მარიამ გობრონიძე, თიმ ბუნიევაცი, ლიანა გიორგაძე, ივანნა კლიმპუშ-ცინცაძე, მარიამ ჯიქია, იაროსლავ მიჰალიკი, სიმონ ტაკაშვილი, თამარ ონიანი და სხვა.

სამართლის ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა ასევე ჩაატარა ტრენინგები სკოლის მოსწავლეებთან, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. 2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში 25 ასეთი ტრენინგი ჩატარდა.

აღსანიშნავია, რომ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტს ვარშავის სამართლიანობის უნივერსიტეტის დელეგაცია სტუმრობდა. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. შეხვედრაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიმართულებით გამოცდილების გაზიარებაზე, ერთობლივ პროექტებსა და კვლევებზე. დაიგეგმა ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება და პერსონალის გაცვლითი პროგრამების განხორციელება.

სამართლის ფაკულტეტი ყოველწლიურად გამოირჩევა წიგნებისა და ჟურნალების გამოცემებით. 2024-2025 სასწავლო წლის ფარგლებში გამოიცა შემდეგი ჟურნალები/წიგნები:

1. ჟურნალი „Orbeliani Law Review“ Vol.1, N1;
2. ჟურნალი „სამართლის მეთოდების“ მე-8 ნომერი;
3. Migration Policy and Legal Responses: Comparative Perspectives from Visegrad, Western Balkans, and Eastern Partnership Countries;
4. „სახელმწიფოსა და უცხოელ ინვესტორს შორის წარმოშობილი საერთაშორისო საინვესტიციო დავის მიმართ გამოსაყენებელი სამართალი და დავის გადაწყვეტის საშუალებები“
5. სინგაპურის კონვენციის კომენტარი;
6. „განახლებადი ენერგიის ბაზარზე სახელმწიფო კონტროლის სამართლებრივი ფარგლები“;
7. „იურისტის კვალიფიკაციის დადასტურება და პრაქტიკულ იურიდიულ საქმიანობაზე დაშვების ქართული მოდელი“.

სამართლის ფაკულტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი არაერთ საერთაშორისო კონფერენციაში იღებდა მონაწილეობას, როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის გარეთ. ჯამში, 16 მათგანი სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციაში 43 მოხსენებით გამოვიდა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სამართლის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი მუდმივად აქვეყნებს სხვადასხვა ნაშრომებს, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. 2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში 33 კვლევა გამოქვეყნდა.

სამართლის ფაკულტეტის ორგანიზებით ჩატარდა 4 საერთაშორისო კონფერენცია:

1. "Migration policy and legal responses: perspectives from Visegrad, Western Balkans, and Eastern Partnership Countries";
2. "Civil Procedural Law and ADR";
3. "Comparative and European Law";

4. "National Identity Through Constitutional Lenses: Legal Reflections from Across Borders".

ამ კონფერენციებში მონაწილეობა მიიღეს, სამართლის ფაკულტეტის აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დოქტორანტებმა და უცხოელმა პროფესორებმა.

„საჯარო სამართლის საერთაშორისო საზოგადოების“ (ICON) რიგით მეორე ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო სამართლის ფაკულტეტის არაერთმა აკადემიურმა პერსონალმა და მოწვეულმა ლექტორმა. ხოლო რიგით მესამე ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციას 2025 წლის 27-28 ივნისს უმასპინძლა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა.

გარდა საერთაშორისო კონფერენციისა, სამართლის ფაკულტეტის ორგანიზებით ასევე დაიგეგმა ორი სტუდენტური კონფერენცია:

1. VII საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენცია;
2. სტუდენტური კონფერენცია ადამიანის ძირითად უფლებებში;

კონფერენციებში მონაწილეობა მიიღეს, როგორც სულხან-საბა ორბელიანის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებმა, ისე საქართველოში აკრედიტირებული უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

სამართლის ფაკულტეტმა და აკადემიურმა პერსონალმა საანგარიშო პერიოდში მიიღეს ჯამში 8 საგანმანათლებლო და კვლევითი გრანტი, ესენია:

1. Empowering Georgia's Youth: Enhancing Legal Awareness and Access to Justice for Students, Teachers, and Internally Displaced Persons, USAD;
2. PROM Short Term Academic Exchange Program Polish National Agency for Academic Exchange - გიორგი გორაძე (საგანმანათლებლო გრანტი);
3. PROM Short Term Academic Exchange Program Polish National Agency for Academic Exchange - სიმონ ტაკაშვილი (კვლევითი გრანტი);
4. Understanding Risks and Institutional Responses in Online-Facilitated Sex Work: A Study from Georgia;
5. საავტორო უფლების მემკვიდრეობით გადაცემა: ფრანგული მოდელის გამოყენება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის ერთობლივი კვლევითი სტაჟირების პროგრამის საგრანტო კონკურსი;
6. Rights of Vulnerable Groups in Central and Eastern Europe;

7. National Human Rights System in East Europe, Central European Academy;
8. International Crimes Committed as Part of Russia's Armed Aggression Against Ukraine and the Possibility of Their Prosecution by International Tribunals, KUL University Press.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი ევროპის იურიდიული ფაკულტეტების ასოციაციის (ELFA – European Law Faculties Association) წევრია ჯერ კიდევ 2020 წლიდან. ასოციაცია ყოველწლიურად მართავს შეხვედრასა და კონფერენციას, რომელში მონაწილეობაც სამართლის ფაკულტეტის დეკანმა გიორგი გორაძემ 2025 წელსაც მიიღო.

ასევე აღსანიშნავია რომ 2025 წელს სამართლის ფაკულტეტი გაწევრიანდა ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ევროპულ აკადემიურ ქსელში - ELPIS (European Law Faculties Network). სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი პირველი ქართული უნივერსიტეტია, რომელიც ამ გაერთიანების წევრია. აღნიშნული სტუდენტებს, მისცემს არაერთ შესაძლებლობას, როგორცაა სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, ლექციებზე დასწრება (მათ შორის ონლაინ), საზაფხულო სკოლებსა და იმიტირებული პროცესების შეჯიბრებებში მონაწილეობა და სხვა. მაგალითად 2025-2026 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრისთვის უკვე დაიგეგმა ონლაინ ლექციათა ციკლი „Global Classroom", რომელზეც უკვე დარეგისტრირდნენ სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულები. ხოლო ლექტორებისთვის ეს არის შესაძლებლობა დაიგეგმოს ერთობლივი კურსები და კვლევები, მიიღონ მონაწილეობა კიდევ უფრო მეტ საერთაშორისო კონფერენციაში, შექმნან ახალი საგანმანათლებლო მოდულები, რაც საბოლოოდ შესაძლებლობას აძლევთ გამოიყენონ ცოდნის გაცვლისთვის ახალი პლატფორმა. აღსანიშნავია რომ 2027 წელს სწორედ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი უმასპინძლებს ქსელის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას - ყოველწლიურ შეხვედრასა და კონფერენციას.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

2024-2025 სასწავლო წელს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მოქმედებდა ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი საბაკალავრო, ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო, ტურიზმის საბაკალავრო, ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო და ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამები.

გაიმართა შეხვედრები, სადაც ლექტორებს წარედგინათ პერსონალისა და სასწავლო პროცესის შეფასების ანგარიშები, რომლის საფუძველზეც გამოვლინდა ხარვეზები და შემუშავდა მათი გადაჭრის გზები. ცვლილებები შეეხო სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმებსა და

ლიტერატურას. პროგრამების წარმატებით განხორციელებისა და სწავლის პროცესში სტუდენტთა მაქსიმალურად ჩართვის მიზნით ჩატარდა 8 ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში განახლდა და გაფორმდა ახალი მემორანდუმები სხვადასხვა კომპანიასთან, რომლებიც მხარს უჭერენ სასწავლო კურსის „პრაქტიკის“ განხორციელებას. ეს თანამშრომლობები ხელს შეუწყობს სტუდენტებს მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება პროფესიულ გარემოში და განავითარონ თავიანთი უნარები რეალურ სამუშაო პირობებში. გაზაფხულის სემესტრში ბაკალავრიატის საფეხურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს სავალდებულო კომპონენტის - პრაქტიკის დაცვის მიზნით, სტუდენტებს მიეცათ ფართო არჩევანის შესაძლებლობა, სურვილის მიხედვით გაევლოთ პრაქტიკა სასურველ ობიექტზე. მათ სემესტრის ბოლოს წარმოადგინეს ანგარიშები და პრაქტიკის საჯარო დაცვა განხორციელდა კომისიის წინაშე.

გაზაფხულის სემესტრის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისთვის სავალდებულო კომპონენტის - საბაკალავრო ნაშრომის დაცვის მიზნით, სემესტრის დასაწყისშივე მოხდა სტუდენტების მხრიდან სასურველი მიმართულების, ხელმძღვანელისა და პროექტის არჩევა. სემესტრის დასრულებისას სტუდენტებმა საბაკალავრო პროექტები წარმოადგინეს საჯარო დაცვაზე. ასევე განხორციელდა სამაგისტრო ნაშრომების დაცვა როგორც გაზაფხულის, ისე შემოდგომის სემესტრში.

ფაკულტეტზე სასწავლო წლის განმავლობაში გამოვლინდა 12 სტიპენდიანტი, წინა სემესტრის მაჩვენებლების მიხედვით (ფაკულტეტზე მოქმედებს საბას სტიპენდია, ბაზისბანკის სტიპენდია და ფაკულტეტის სტიპენდია).

კურიკულუმს გარე აქტივობები

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი აქტიურია კურიკულუმს გარე აქტივობებით, რომლებშიც სტუდენტები დიდი ინტერესით მონაწილეობენ და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე მუშაობენ. ფაკულტეტის ორგანიზებით ჩატარდა არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიება, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება, გაიღრმავონ პროფესიული ცოდნა და განავითარონ საერთაშორისო და ადგილობრივი კონტაქტები:

მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და ფაკულტეტზე მოქმედი განვითარების კვლევების ინსტიტუტის (IDS) მიერ გაიმართა ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

კონფერენციის თემა იყო: „4E4W: ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, ეთიკური და განათლების ტრანსფორმაციები კეთილდღეობისთვის“. ღონისძიებაში 6 ქვეყნის 20-ზე მეტი პროფესორი მონაწილეობდა საქართველოდან, იტალიიდან, ნორვეგიიდან, ბულგარეთიდან, სლოვენიიდან და უკრაინიდან.

კონფერენციის მთავარი (Keynote) მოხსენება წარადგინეს პროფესორმა განდოლფო დომინიჩიმ, BSLab-ის სამეცნიერო დირექტორმა და პალერმოს უნივერსიტეტის პროფესორმა და განვითრების კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ნინო პაპაჩაშვილმა.

კონფერენციას დაესწრნენ აკადემიური წრეების წარმომადგენლები, მკვლევრები სტუდენტები და მოწვეული სტუმრები. ღონისძიებამ წარმატებით ჩაიარა და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას განათლებისა და განვითარების სფეროში.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტმა ტრადიციულად გამართა მე-12 სტუდენტური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები. კონფერენციის ფარგლებში გამოვლინდა საუკეთესო მოხსენების ავტორები, რომელთა ნაშრომები დაიბეჭდება სპეციალურ კრებულში.

ყოველწიური ბიზნეს მარათონი, რომელის ფარგლებში გაერთიანებულია ბიზნეს კონკურსები:

- ✔ სასკოლო სამეწარმეო იდეების კონკურსი. კონკურსში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მასშტაბით 70-ამდე სხვადასხვა სკოლის 200-მდე მოსწავლემ (მე-10, მე-11 და მე-12 კლასი). კონკურსის მიზანი იყო საინტერესო, ინოვაციური ბიზნეს იდეების მქონე მოსწავლეების აღმოჩენა, წახალისება და ხელშეწყობა. გამარჯვებული იდეები ჯილდოვდება ფულადი და სხვა პრიზებით.

- ✔ სტუდენტური სამეწარმეო იდეების კონკურსი. კონკურსში მონაწილეობას იღებს საბაუნის საბაკალვრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები. გამარჯვებული იდეები ჯილდოვდება ფულადი და სხვა პრიზებით.

ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის სტუდენტებმა მონაწიეობა მიიღეს პრაქტიკულ ღონისძიებებში, და ადგილზე გაეცნენ კომპანიების მუშაობის სპეციფიკას და ბაზრის სიახლეებს:

1. სტუდენტების ვიზიტი ,,თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტზე". - ლექცია, სემინარი, სასწავლო შეხვედრა (სასწავლო კურსის ,,რეკრეაცია და სამკურნალო ტურიზმი“ ფარგლებში.)

2. სტუდენტების ვიზიტი აბანოთუბანი, კალაუბანი, ბეთლები, ნარიყალა - კუტურული მემკიდრეობის გაცნობა - სემინარი, ლექცია (სასწავლო კურსის „კულტურული ტურიზმი“ ფარგლებში.)

3. სტუდენტების შეხვედრა მურმან ალავიძესთან (თიბისის ბანკის ციფრული პროდუქტების განვითარების პროექტების მენეჯერითან AI , CPO ტექნოლოგიებისა და დიჯიტალიზაციის მიმართულებით) - შეხევდრა დ სამუშაო სემინარი ეხებოდა ბიზნესის ციფრულ ტრანსფორმაციას, განხილულ იქნა პრაქტიკული მაგალითები, სტუდენტებმა იმუშავეს მანუალური პროცესების გაციფრულებაზე (სასწავლო კურსის „ბიზნესი საფუძვლების“ ფარგლებში)

4. სტუდენტების შეხვედრა გიორგი კალატოზიშვილთან (რეპუტაციის მართვის კომპანიის „მაინდერი“ დამფუძნებელი და მმართველი) თემაზე - კრიზისული კომუნიკაცია და მისი კავშირი მარკეტინგთან. (სასწავლო კურსის „მარკეტინგის საფუძვლების“ ფარგლებში.) განხილული იყო შემდეგი საკითები:
    - კრიზისი, როგორც ბრენდის ტესტი და მისი გავლენა გრძელვადიან იმიჯზე;
    - კრიზისული PR-ის და მარკეტინგული სტრატეგიის თანხვედრა;
    - ბრენდის ტონი და მესიჯი რთულ სიტუაციებში;
    - მომხმარებელთა ნდობისა და ლოიალობის შენარჩუნება კრიზისის პირობებში;
    - სოციალური მედიის მართვა კრიზისის დროს;
    - ბრენდის რეპუტაციის აღდგენა და კრიზისის შესაძლებლობად ქცევა;
    - საერთაშორისო და ადგილობრივი ქეისები, სადაც კრიზისულმა კომუნიკაციამ მარკეტინგული წარმატება მოიტანა.

საერთაშორისო თანამშრომლობისა და კვლევითი პროექტები

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის აფილირებულმა პროფესორებმა მონაწილეობა მიიღეს და მოხსენებით წარდგნენ 11 საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციაზე. ფაკულტეტის აფილირებული პროფესორების მიერ სტატიები გამოქვეყნდა ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში.

გამოიყო შიდა გრანტი ფაკულტეტის აფილირებული პერსონალის მიერ კვლევის ჩასატარებლად, რაც ეხებოდა შრომის ბაზარზე თანამედროვე მოთხოვნებსა და ციფრულ უნარებს საქართველოსა და მსოფილოში. კვლევის შედეგები წარდგენილი იქნა რამდენიმე კონფერენციაზე, გამოქვეყნდა რეიტინგულ ჟურნალებში.

საბაუნის ტურიზმის პროგრამის სტუდენტმა, სტეფანე ხითარიშვილმა მონაწილეობა მიიღო სსიპ კურორტების განვითარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ სტუდენტთა მე-2 სამეცნიერო კონფერენციაში, თემაზე „საქართველოს კურორტების განვითარების მომავალი.“ სტეფანე საინტერესო ნაშრომით წარდგა კონფერენციაზე – „საქართველოს კურორტების მდგრადი განვითრების შესაძლებლობები და გამოწვევები,“ სადაც მან მიმოიხილა საქართველოსა და ევროპის კურორტების ეკოლოგიური მიდგომებისა და სერვისების მრავალფეროვნებების განსხვავებები და ისაუბრა ქართული კურორტების სტრატეგიული განვითარების მიმართულებებზე. სტეფანე ხითარიშვილმა მოიპოვა პირველი ადგილი, დაჯილდოვდა დიპლომიტა და ფასიანი საჩუქრებით. ნაშრომი დაიბეჭდა კონფერენციების თეზისების კრებულში.

განსაკუთრებით აქტუალურია უნივერსიტეტსა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე Erasmus + გაცვლითი პროგრამები, როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტებისთვის:

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტმა დავით ნემსაძემ Erasmus + ფარგლებში გაცვლით პროგრამით გაზაფხულის სემესტრში სწავლა გააგრძელა ოსტფოლდის უნივერსიტეტში (ნორვეგიაში).

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტმა სოფო მეგრელიშვილმა Erasmus + ფარგლებში გაცვლით პროგრამით გაზაფხულის სემესტრში სწავლა გააგრძელა ოსტფოლდის უნივერსიტეტში (ნორვეგიაში).

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის აფილირებული პროფესორი ნინო პაპაჩაშვილი Erasmus+ აკადემიური მობილობის ფარგლებში იმყოფებოდა ოსტფოლდის უნივერსიტეტში (ნორვეგიაში).

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის აფილირებული პროფესორი ნინო პაპაჩაშვილი Erasmus+ აკადემიური მობილობის ფარგლებში იმყოფებოდა კალიშის უნივერსიტეტში (პოლონეთში).

გამოცემები

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და განვითარების კვლევების ინსტიტუტის (IDS) მიერ გამოიცა საერთაშორისო ინგლისურენოვანი ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალი "Journal of Development Studies" (Vol.5). ჟურნალის სამეცნიერო რედაქტორი: პროფესორი ნინო პაპაჩაშვილი. საერთაშორისო სამეცნიერო კოლეგია დაკომპლექტებულია: აშშ-ს, გერმანიის, ბრიტანეთის, ნორვეგიის, სლოვაკეთის, მოლდოვასა და ბულგარეთის წამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენლებით.

მომზადდა კონფერენციის საუკეთესო ნაშრომთა კრებული: XII სტუდენტური კონფერენციის ნაშრომები. ამ კრებულებში შევიდა კონფერენციებზე წარდგენილი უმაღლესი ხარისხის კვლევები, რომლებიც მოცემულ სფეროებში ახალ იდეებსა და კვლევითი გზების შემოტანას ისახავს მიზნად. წიგნი წარმოადგენს მნიშვნელოვანი რესურსს სტუდენტების მიერ განხორციელებული მეცნიერების სფეროში და საშუალებას აძლევს ფართო აუდიტორიას გაეცნოს თანამედროვე კვლევებსა და ინოვაციურ მიდგომებს.

თეოლოგიის ფაკულტეტი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტი 2024-2025 წლის პერიოდში ეფექტურად ახორციელებდა 2 საგანმანათლებლო პროგრამას. კერძოდ, თეოლოგიის საბაკალავრო საფეხურის პროგრამა და თეოლოგიის სამაგისტრო საფეხურის პროგრამა. ამასთანავე, თეოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე ამჟამად არის ოთხი სტუდენტი; პარალელურად, თეოლოგიის სადოქტორო პროგრამა აცხადებს კანდიდატების მიღებას.

საანგარიშო პერიოდში, 2024-2025 სასწავლო წელი, განხორციელდა, როგორც აუდიტორიულ, ისე დისტანციურ ფორმატში, რადგან პედაგოგების გარკვეული ნაწილი იმყოფება საზღვარგარეთ და შესაბამისად, მათი ლექციების წაკითხვა ხდებოდა დისტანციურად. დისტანციური რეჟიმი ხორციელდებოდა მხოლოდ სამაგისტრო პროგრამაზე.

ფაკულტეტის ადმინისტრაცია დეკანის და პროგრამების ხელმძღვანელის მიერ, სისტემატიურად ახორციელებდა სტუდენტებისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის კონსულტაციებს, როგორც ადგილზე, ისე დისტანციურად სასწავლო პროცესთან, მიმდინარე საკითხებთან და სხვა თემებთან დაკავშირებით.

წესისამებრ, თეოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს სხდომები იმართებოდა ჩვეულ რეჟიმში, როგორც აუდიტორიულ, ისე დისტანციურ რეჟიმში, პროგრამებში ცვლილებების განხორციელების, სასწავლო პროცესის, ეფექტური იმპლემენტაციის, აგრეთვე ფაკულტეტის საბჭოს სხვა პასუხისმგებლობის ფარგლებში.

თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი და პროგრამების ხელმძღვანელი მთელი სემესტრის განმავლობაში სისტემატიურად ახორციელებდნენ შეხვედრებსა და კონსულტაციებს სტუდენტებთან სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და განხილვისათვის. ეს შეხვედრები მიმდინარეობდა დისკუსიის რეჟიმში. ასეთ შეხვედრებზე სტუდენტებს ჰქონდათ თავისუფლება დაეფიქსირებინათ საკუთარი

მოსაზრებები როგორც კურიკულუმის, ისე კურიკულუმსგარე ღონისძიებების შესახებ. რის საფუძველზე იგეგმებოდა სხვადასხვა ტიპის აქტივობები.

სასწავლო პროცესის განვითარების მიზნით, ფაკულტეტის დეკანი და პროგრამების ხელმძღვანელი, სტუდენტებისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სისტემურად მართავდა საინფორმაციო შეხვედრებს ზოგადად სასწავლო პროცესთან, საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსთან და კურიკულუმთან დაკავშირებით. სისტემატიურად იმართებოდა შეხვედრები თეოლოგიის ფაკულტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

სასწავლო პროცესის უფრო ეფექტურად განხორციელების მიზნით, თვეში ერთხელ ტარდებოდა ფაკულტეტის საბჭოს სხდომები. ამ სხდომების დღის წესრიგი შეეხებოდა მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სილაბუსებში გარკვეული ცვლილებების განხორციელებას, პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, სტუდენტებისათვის პროგრამის მიზნებისა და შედეგების, კურიკულუმის გაცნობისა და მათგან რეკომენდაციების მიღებასა და მოსაზრებების გაზიარებას. ცვლილება განხორციელდა სამაგისტრო პროგრამაზე, სადაც დაემატა ახალი არჩევით სასწავლო კურსები იმ მიზნით, რომ სტუდენტებს მეტი საშუალება მისცემოდათ თეოლოგიის აქამდე უცნობი დარგების შესასწავლად. ასევე, სტუდენტთა საჭიროებებისა და ინტერესთა დაცვის მიზნით ფაკულტეტის საბჭოს მიერ, ხორციელდებოდა სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

საანგარიშო პერიოდში, ფაკულტეტზე Erasmus+ ICM გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა ორი ვიზიტი. კერძოდ:

- 12-16 მაისს, თეოლოგიის ფაკულტეტს ადმინისტრაციული ფორმატის ფარგლებში სტუმრობდნენ სლოვაკეთის პრეშოვის უნივერსიტეტის (Slovakia, University of Presov) პროფესორები მარია კარდისი (Maria Kardis), კამილ კარდისი (Kamil Kardis) და ალექსანდრა ჩამპჩაკოვა (Alexandra Champčáková); 26-30. მაისს თეოლოგიის ფაკულტეტს სტუმრობდნენ ჩეხეთის პალაცკის უნივერსიტეტის (Palacký University Olomouc, Czech Republic) პროფესორები დომინიკ ოპატმი (Dominik Opatrny) და ივან დრაბეკი (Ivan Drabek).

თეოლოგიის ფაკულტეტის ადმინისტრაციამ, აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების აქტიური ჩართულობით, განახორციელა სხვადასხვა სახისა და შინაარსის კურიკულუმსგარე აქტივობა და სამეცნიერო ღონისძიება. აღნიშნულ კატეგორიაში მოიაზრება, როგორც საჯარო ლექციების, ტრენინგ-კურსების, პანელური დისკუსიების, სამეცნიერო და სტუდენტური კონფერენციებისა და სხვ. განხორციელება, ასევე ჟურნალების, თარგმანებისა და სხვ. გამოცემა:

სამეცნიერო კონფერენციები:

- სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის II საერთაშორისო თეოლოგიური კონფერენცია, 27.05.2025. კონფერენცია მიეძღვნა მეორე ათასწლეულში სხვადასხვა საეკლესიო საკითხებს, რომლებიც აქტუალურია დღესაც. კონფერენციის მომხსენებლები შეეხენ სხვადასხვა თეოლოგიურ თემებს. ძირითადად ეს იყო საეკლესიო სამართალი, დოგმატური ღვთისმეტყველება, პატერიკული სწავლებები და ტრადიცია, ლიტურგიკული ღვთისმეტყველება, ეკლესიის ისტორია. კონფერენცია თემატიკა იყო „ეკლესია მეორე ათასწლეულში“. ეს განპირობებული იყო სხვადასხვა თეოლოგიური საკითხებისადმი დიდი ინტერესით, რომლებიც ყოველდღიურად იჩენს თავს მორწმუნეებისა და სხვა ადამიანების ცხოვრებაში. კონფერენციის შინაარსი თემატურად იყო მრავალფეროვანი. შესაბამისად, კონფერენციის მიზანია იყო თავი მოეყარა თეოლოგებისა და თეოლოგიის მონათესავე მეცნიერებების სპეციალისტებისათვის სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებიდან, რომლებმაც იმსჯელეს ზემოხსენებული თემების შესახებ და შეეცადენ მართებული წარმოდგენა შეექმნათ დამსწრე აუდიტორიისა და ფართო საზოგადოებისათვის ეკლესიის წიაღში არსებულ სხვადასხვა პრობლემებზე, რომლებიც გამოწვეულია სხვადასხვა გარემოებებითა და მიზეზებით.

თეოლოგიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ საერთაშორისო კონფერენციებში:

- თეიმურაზ ბუაძე მოხსენება “Rethinking the Middle Ages: A Millennium of Progress in Science, Society, and Institutions”, ეკლესია მეორე ათასწლეულში მეორე საერთაშორისო სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი/ათენის უნივერსიტეტი თბილისი 27 მიაი, 2025;
- გურამ ლურსმანაშვილი მოხსენება The Death of Patriarch Kirion II, საერთაშორისო კონფერენცია The Church in the Second Millenium. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, თბილისი, 27 მაისი 2025;
- გოჩა ბარნოვი, მოხსენება The abolition of the autocephaly of the Georgian Church, საერთაშორისო კონფერენცია The Church in the Second Millenium. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, თბილისი, 27 მაისი 2025;
- გოჩა ბარნოვი, მოხსენება Η Ορθόδοξη Εκκλησία της Γεωργίας – ξένες επιρροές και σχέσεις με τις αρχές (საქართველოს ეკლესია - უცხოური გავლენები და ხელისუფლებებთან ურთიერთობები) საერთაშორისო სიმპოზიუმი International Scientific Symposium in Romania (Târgoviște), 2–5 June 2025, “100 Years since the Establishment of the Romanian Patriarchate: The Challenges of Orthodox Theology in the 20th Century,”;

- ანდრეას ზახარიუ მოხსენება "Hesychast method of prayer: some observations on its history and its use by Nicodemus the Hagiorite and by an anonymous monk of the 19th century", International Conference: Hesychasm - Philosophy, Practice And Modernity, held by Institute for Studies in Eastern Christianity (ISEC) of Union Theological Seminary, New York, USA 2024, 14 დეკემბერი;
- ანდრეას ზახარიუ მოხსენება "The hesychast method of prayer: tradition or innovation?", The Church in the Second Millenium. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, თბილისი, 27 მაისი 2025;
- ალესია ბრომბინი Journée d'Actualités Chrysostomiennes 2025, Institut des Sources Chrétiennes, Lyon, France, 18 juin 2025. Title: "Textual tradition and theological particularities of the pseudo-Chrysostomian homily In quatriduanum Lazarum (CPG 4322).";
- ალესია ბრომბინი International Seminar On St. Gregory Palamas' Philosophy And Theology, Neamț, Romania, June 13-15, 2025. Title: "Hesychast Prayer as Transformative Dialogue: Dumitru Stăniloae Integration of Palamite Theology in Social Praxis.";
- ალესია ბრომბინი 2nd International Conference in Theology and Religious Studies, Sulkhan-Saba Orbeliani University, Tbilisi, Georgia, May 26-31, 2025. Title: "The Role of Hesychast Prayer in the Ascetic Life: Teachings from Theoleptos and Palamas.";
- ალესია ბრომბინი International Symposium: Provocările Conciliului de la Niceea din 325, Facultatea de Teologie Romano-Catolică din București, May 9-11, 2025. Title: "The Living Creed: A Study of Lossky and L'Huillier's Commentary on the Creed.";
- ალესია ბრომბინი Re-living Jesus's Nativity in Late Antique and Medieval Christianity, The Orthodox Academy of Crete - Medievalists.net, December 14, 2024. Title: "The Birth of Christ in Late Antique Homiletics: John Chrysostom's In diem Natalem.";
- ალესია ბრომბინი Engaging Orthodox Christian Theology With Today's World, Institute For Studies In Eastern Christianity at Union Theological Seminary in the City of New York, December 14, 2024. Title: "Hesychast Wisdom in the Modern World: Exploring Catherine de Hueck Doherty's Integration of Orthodox Prayer and Western Spirituality.";
- ალესია ბრომბინი 49th International Patristic, Medieval and Renaissance Conference (PMR): Ever Ancient, Ever New: The Tensions of Tradition and Mission, Villanova University, November 1, 2024. Title: "Mystical Bridges: A Comparative Study of Bonaventura and Eckhart.".

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში თეოლოგიის ფაკულტეტზე 6 ივნისს ჩატარდა სტუდენტური კონფერენცია, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტმა ირაკლი რამიშვილმა წაიკითხა მოხსენება „ფუნდამენტალიზმი, როგორც იზოლაციონიზმის ინსტრუმენტი პოსტსაბჭოთა საქართველოში".

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში თეოლოგიის ფაკულტეტზე განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ბექა ჭიჭინაძის წიგნების პრეზენტაცია: „ევროპული წყაროები პრესვიტერ იოანეს

შესახებ“, 09.09.2024, „საქართველოს ისტორიის უცნობი ქრონიკები-თერთმეტი ისტორიული ქრონიკა“, 09.09.2024 და „მასალები შუა საუკუნეების ქართულ-ევროპული კულტურული ურთიერთობების შესასწავლად“, 09.09.2024; ანდრეი კურაევის საჯარო ლექცია: „რწმენის არსი“, 20.09.2024; ჟურნალ „ზღვარის“ მესამე ნომრის პრეზენტაცია, 30.09.2024; სტუდენტური პანელი „რატომ ევროპა?“, 31.10.2024; პანელი „საბჭოთა პარადიგმები და რელიგია საქართველოში“, 20.02.2025; საჯარო ლექცია „ტრამპი, ახალი საერთაშორისო რეალობა და საქართველო“, 11.03.2025; ბექა მინდიაშვილისა და ალექსანდრე გაბუნიას ორი საჯარო ლექცია „შესავალი შებრუნებული პერსპექტივის თეოლოგიაში“, პირველი ლექცია, 25.04.2025 და საჯარო ლექცია „შებრუნებული პერსპექტივის თეოლოგია“, მეორე ლექცია, 02.05.2025;

მედიცინის ფაკულტეტი

2024–2025 აკადემიურ წელს მედიცინის ფაკულტეტი აქტიურად ახორციელებდა მზადებას მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისათვის. საანგარიშო პერიოდში ფაკულტეტზე არსებული კლინიკო ლაბორატრიული სივრცე შეფასდა და მოდიფიცირდა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სასწავლო შედეგების მიღწევას სტუდენტებში. მაჟამად წარმოდგენილია შემდეგი სივრცეებით:

- კლინიკურ სიმულაციურ ცენტრი;
- ბიოქიმიისა და მიკრობიოლოგიის სამედიცინო სწავლების ლაბორატორია;
- ჰისტოლოგიისა და პათოლოგიის სწავლების ლაბორატორია;
- ანატომიის სამედიცინო სწავლების ლაბორატორია.
- პროგრამის განახორციელებელ კლინიკებთან დაიდო მემორანდუმები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის იმპემენტაციას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

პერსონალის გადამზადება:

საანგარიშო წელს პროგრამის განახორციელებელი პერსონალისათვის გადამზადება, სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთდებში, ტრენინგები ჩატარდა 2025 წლის ივნისიში და ტრენინგს უძღვებოდა მედიცინის დოქტორი, Dr Muhammad Shabbir, MBBS, FCPS (Internal Medicine), CHPE (Medical Education), DHPE (Medical Education), ESME Assessment (AMEE), Assistant Professor Internal Medicine,College of Medicine at Shaqra, Shaqra University, Saudi Arabia.

სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა: 27 მაისს ფაკულტეტზე ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „სამედიცინო განათლების გამოწვევები“ სადაც მონაწილეობდნენ ადგილობრივი და საერთაშორისო პრეზენტატორები.

2025 წლის აგვისტოში მედიცინი ფაკულტეტის ხელმძღვანელი დაესწრო ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის AMEE 2025 კონფერენციას How are educators relevant to health? ესპანეთში, ბარსელონაში.

უცხო ენების ცენტრი

უცხო ენების ცენტრმა 2024–2025 კადემიური სასწავლო წლის დაწყებამდე განახორციელა პირველკურსელ სტუდენტთა ტესტირება-გასაუბრება ენის დონის განსაზღვრის მიზნით. შედეგად, მოხდა სტუდენტების დონეებად დაყოფა და ჯგუფებში გადანაწილება.

ცენტრი აქტიურად იყო ჩართული სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე ტესტების შემუშავება-ტესტირების პროცესში. ასევე სტუდენტთა მობილობის პროცესში, მონაწილეობდა როგორც ენის დონის, ასევე კრედიტების აღიარების პროცესში.

აღნიშნულ სასწავლო წელს ცენტრი ასევე მონაწილეობდა გაცვლით პროგრამებში ჩართული სტუდენტების ტესტირებისა და შერჩევის პროცესში. სისტემატურად, თვეში ერთხელ, იმართებოდა უცხო ენების ლექტორებთან შეხვედრები მიმდინარე პროცესების შეფასებისა და ანალიზის მიზნით.

ცენტრის საქმიანობა მოიცავდა:

- სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურისათვის ტესტების შემუშავება-ტესტირების ორგანიზებას;
- აკრედიტაცია-ავტორიზაციის პროცესებში ჩართულობას კომპეტენციის ფარგლებში;
- ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში ჩართულობას;
- ლექციების მსვლელობის პროცესის მონიტორინგს;
- საგამოცდო ტესტების შემუშავება-კონტროლს;
- გამოცდების მსვლელობისა და ჩატარების მონიტორინგს ენების მიმართულებით;
- თანამშრომელთა შერჩევა-აყვანის პროცესში მონაწილეობას.

გარდა საგანმანათლებლო და აკადემიური საქმიანობისა, უცხო ენების ცენტრი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სტუდენტთა ჩართულობას ექსტრაკურიკულუმ აქტივობებში, რომლებიც მიზნად ისახავდა მათი ენობრივი და კულტურული უნარების გაღრმავებას. აღნიშნული აქტივობების წყალობით, სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა არა მხოლოდ აკადემიური მიზნებისთვის გამოეყენებინათ უცხო ენები, არამედ ინტეგრირებულიყვნენ კულტურულ და სოციალურ სივრცეში, რაც კიდევ უფრო ამაღლებს სწავლების ხარისხსა და მოტივაციას.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახური

2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრით, საშემოდგომო სემესტრში სწავლა დაიწყო 16 სექტემბერს. სასწავლო პროცესის დაწყებამდე პირველკურსელთა სარეგისტრაციო დოკუმენტები გამზადდა და წარიმართა პირველადი რეგისტრაციის პროცესი. სტუდენტებმა გაიარეს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია, რის შემდეგაც, მათი მონაცემები სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში აისახა. მათთან დადებული განათლების ხელშეკრულებები კი გატარდა ელექტრონულ ჟურნალში.

2024 წლის საშემოდგომო სემესტრში ბაკალავრიატის საფეხურზე ჩაირიცხა 230 სტუდენტი:

- სამართალი - 68,
- ბიზნესის ადმინისტრირება - 13,
- ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი) – 1,
- ტურიზმი - 22,
- თეოლოგია - 6,
- საერთაშორისო ურთიერთობები - 25,
- ფსიქოლოგია - 67,
- ინგლისური ფილოლოგია - 24,
- პოლიტიკის მეცნიერება - 4 სტუდენტი.

მაგისტრატურის საფეხურზე ჩაირიცხა 82 სტუდენტი:

- სამართალი - 60,
- საჯარო მმართველობა - 3,
- ადამიანური რესურსების მართვა - 10,
- ბიზნესის ადმინისტრირება - 6,
- თეოლოგია - 3 სტუდენტი.

დოქტორანტურის საფეხურზე სულ ჩაირიცხა 26 სტუდენტი. აქედან:

- სამართლის სადოქტორო პროგრამაზე ჩაირიცხა 17 სტუდენტი,
- საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამაზე 7 სტუდენტი,
- თეოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე - 2.

2024-2025 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში ჩარიცხული მაგისტრანტების შესახებ ინფორმაცია აისახა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ სისტემაში სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ. ასევე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა განახორციელა 2024-2025 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის როგორც შიდა, ასევე გარე მობილობის პროცესის ორგანიზება და სტუდენტების მონაცემებისა და მობილობით აღიარებული კრედიტების სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ასახვა.

მთელი აკადემიური წლის განმავლობაში შემოსული განცხადებების საფუძველზე სასწავლო პროცესის მართვის სამსახური მუდმივად გასცემდა ცნობებს, როგორც სტატუსის შესახებ, ასევე ფორმა 26-ს.

2024-2025 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის ფინალური გამოცდები ჩატარდა 23 დეკემბრიდან 11 იანვრის ჩათვლით. დამატებითი გამოცდები ჩატარდა 13 იანვრიდან 17 იანვრის ჩათვლით. მას შემდეგ, რაც დამატებითი გამოცდების შეფასებები სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში სრულად აისახა, დაიხურა და დაარქივდა შემოდგომის სესია და უწყისები. სასწავლო სემესტრის ბოლოს დაიბეჭდა 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის უწყისები და მათზე ხელის მოწერის პროცესი უზრუნველყო სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა. სესიის დახურვის შემდეგ დამუშავდა კურსდამთავრებულთა მონაცემები და გადაეგზავნა ფაკულტეტებს. დამუშავდა დიპლომებისთვის საჭირო ინფორმაცია და გადაეგზავნა შესაბამის ორგანიზაციას დასამზადებლად. გაიცა დამზადებული დიპლომები.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ შედგა და ბაზაზე აისახა 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო ცხრილი. 2025 წლის 3 თებერვალს სასწავლო პროცესი დაიწყო როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა, საგაზაფხულო სემესტრშიც განახორციელა მობილობის პროცესის ორგანიზება და მობილობით გამოსული სტუდენტების მონაცემებისა და მობილობით აღიარებული კრედიტების სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ასახვა. 2025 წლის საგაზაფხულო სემესტრის ფინალური გამოცდები ჩატარდა 12 მაისიდან 24 მაისის ჩათვლით. 2024-2025 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრის დასკვნითი გამოცდების შეფასებების სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში სრულად ასახვის შემდეგ, დაიხურა და

დაარქივდა საგაზაფხულო სესია და უწყისები, რომლებზეც ბაზაში ჩაშენებული ახალი ფუნქციის მიხედვით, ელექტორნულად დაედო ლექტორების ხელმოწერები. ასევე, დამუშავდა კურსდამთავრებულთა მონაცემები და გადაეგზავნა ფაკულტეტებს. გარდა ამისა, დამუშავდა დიპლომებისთვის საჭირო ინფორმაცია და გადაეგზავნა შესაბამის ორგანიზაციას დასამზადებლად. გაიცა დამზადებული დიპლომები.

აკადემიური კვლევის დაგეგმვისა და განვითარების სამსახური

პერიოდული გამოცემები

საერთაშორისო ჟურნალები

1. ჟურნალი „ორბელიანი“

- 2024 წელს გამოიცა ჟურნალის მომდევნო ნომერი ორბელიანი ტომ. 6 No. 07 (2024). https://journals.sabauni.edu.ge/index.php/jo

2. ჟურნალი „დიალოგი“

- 2024 წელს გამოიცა ჟურნალის მომდევნო ნომერი დიალოგი ტომ. 8 (2024)

https://journals.sabauni.edu.ge/index.php/jd

3. ჟურნალი „სამართლის მეთოდები“

- 2024 წელს გამოიცა ჟურნალის სამართლის მეთოდები ტომ. 8 No. 1 მომდევნო ნომერი. https://journals.sabauni.edu.ge/index.php/lm

4. Journal of Development Studies

- 2024 წელს გამოიცა “Journal of Development Studies” მორიგი ნომერი ტომ. 5 No. 1(5). https://journals.sabauni.edu.ge/index.php/jds

5. Orbeliani Law Review

- 2024 წელს გამოიცა ჟურნალის Orbeliani Law Review მორიგი ნომერი vol. 3 No. 1 (2024) https://journals.sabauni.edu.ge/index.php/olr

ფაკულტეტების აფილირებული აკადემიური პერსონალისა და მკვლევართა სამეცნიერო საქმიანობა

გამორჩეული პუბლიკაციები

- Gocha Barnovi. “On the Phenomenon of the ‘Mosakdre’ (Eng. Coregent) in the Church of Georgia.” *Religion and Society in Central and Eastern Europe* 17, no. 1 (2024): 83–90. https://doi.org/10.20413/rascee.2024.17.1.83-90.

- Dimitry Gegenava, Tsisia Okropiridze, Ketevan Bakhtadze, and Sandro-Giorgi Sarukhanishvili. “The ‘Russian Law’ in Georgia: Human Rights, Legal Certainty, and the Passions of the Georgian Lawmakers.” *Review of European and Comparative Law* 59, no. 4 (2025): 225–44. https://doi.org/10.31743/recl.18230.

- Tamar Lakerbaia. “The Europeanization of Georgian Consumer Law: A Pathway to Harmonization.” *Taltech Journal of European Studies* 14, no. 1 (2024): 160–80.

- Nato Gugava, Lika Kobaladze, Tamta Kenia, .and Oliko Kobakhidze “A Comparative Analysis of Data Protection in E-commerce B2C Contracts in Georgia and the European Union.” Review of European and Comparative Law 59, no. 4 (2024): 47–76. https://doi.org/10.31743/recl.17216

- Mzia Jamagidze. “The Influence of Colonial Trauma on the Masculine Characteristics of Georgian Identity.” *Journal of Global Postcolonial Studies* 12, no. 1 (2024): 122–35. https://doi.org/10.5744/jgps.2024.2233.

- Teimuraz Buadze, Christian values and culture in Eternal Values and the Constantly Changing World 2024 979-889113865-0, doi 10.52305/TGMA0134

- Kantaria, Tengiz; Kantaria, Temur; Makharadze, David; Zavradashvili, Nino; Sulashvili, Nodar; Katsarava, Ramaz “Enlarging the library of degradable triazole "click" polymers for potential biomedical applications” in Advances in Engineering Materials: Preparation for Sustainable Process Development Book Chapter 2025 pp.115 – 130 ISBN 978-104038147-2, 978-177964372-8

პუბლიკაციები საერთაშორისო გამოცემებში

- Dimitry Gegenava. “The Position of the International Community Towards Russia’s Aggression Against Georgia (Legal Outcomes and Overview of the Case Law).” *Teka Komisji Prawniczej PAN Oddział w Lublinie* 17, no. 2 (2024): 159–70. https://doi.org/10.32084/tkp.9027.

- Tamta Mikaberidze. “Soft Skills for Future Work: Challenges of Higher Education Programs (Case of Georgia).” In Икономика, управление, сигурност / Economics, Management, Security, edited by Dafinka Sidova and Petar Arabadzhiyski, 13–20. Sofia: New Bulgarian University, 2024. ISBN 978-619-7383-35-5. https://techtos.net/sbornik/ikonomika-upravlenie-sigurnost.pdf.

- Nino Papachashvili and Tamta Mikaberidze. “Bridging the Gap: Digital Skills for Digital Transformation.” In Technology and Society: Boon or Bane? - 9th Business Systems Laboratory International Symposium, edited by Gandolfo Dominici, 141–45. Varese, Italy: University of Insubria,

2025. ISBN 9791298547605. https://bslab-symposium.net/Varese-2025/BSLab_Book_of%20_Abstract_T&S_Varese_2025.pdf.

- Izolda Khokhashvili. "Article." International Journal of Environmental & Agriculture Research (IJOEAR) 11, no. 5 (2025): 8–14. https://doi.org/10.51193/ijaer.
- Nino Papachashvili. "Artificial Intelligence and Higher Education Challenges: Scientific Research Emphasis." In Стратегічні імперативи сучасного менеджменту: Збірник матеріалів VII Міжнародної науково-практичної конференції, 426–30. Kyiv: KNEU, 2024. ISBN 978-966-926-500-5. https://doi.org/10.35668/978-966-926-500-5.
- Andreas P. Zachariou. "The One Hundred and Fifty Chapters in the Collection of Philokalia: Observations on a Peculiar Feature." Dialogue: Journal of Theology and Religious Studies 8 (17) (2024): 133–54.
- Ivan Okromtchedlishvili. "The Role of Civil Society in Strengthening National Preparedness for Modern Security Threats." Bulletin of "Carol I" National Defence University 14, no. 2 (June 30, 2025): 167–99. https://doi.org/10.53477/2284-9378-25-22.
- Ivan Okromtchedlishvili. "Joining NATO: A National End or a Strategic Means for Georgia?" Bulletin of "Carol I" National Defence University 13, no. 3 (October 2024): 129–50. https://doi.org/10.53477/2284-9378-24-35.
- George Goradze. "Article." Teka Komisji Prawniczej PAN Oddział w Lublinie 17, no. 2 (2024): 1–18. https://doi.org/10.32084/tkp.9070.
- George Goradze. In legibus fundamentum rei publicae. In Collection of Scientific Papers of the Comparative Research Platform 2023, 393–448. Warsaw: Wydawnictwo Instytutu Wymiaru Sprawiedliwości, 2025. ISBN 978-83-67149-75-4. https://doi.org/10.32041/9788367149754/10.
- George Goradze: International Crimes Committed as Part of Russia's Armed Aggression Against Ukraine and the Possibility of Their Prosecution by International Tribunals. Lublin: KUL University Press, 2024. 91–114. ISBN 978-83-8288-189-9. https://doi.org/10.31743/kul.9788382881899.
- Levan Tsakadze "The Process of Criminalization and an Economic Analysis of Legal Norms." Orbeliani Law Review (2025): 89–108. https://doi.org/10.52340/olr.2024.03.01.06.
- Simon Takashvili.and Mate Khvedelidze "The Prerequisites for Default Judgment and Grounds for the Vacation of Default Judgment as per the Civil Procedure Code of Georgia." Europejski Przegląd Prawa i Stosunków Międzynarodowych no. 2/2024/70 (2024): 58–68. https://ewspa.edu.pl/wp-content/uploads/2024/08/EPPiSM_2_24_Takashvili.pdf.

- Simon Takashvili. "Discrimination Based on Political or Other Opinions: Impact on the Labor Rights of Probationary Employees and Interns ." Journal of Legal Studies 34, no. 48 (December 2024): 21–38. https://sciendo.com/article/10.2478/jles-2024-0012.

- Simon Takashvili "Criminal Offence and Health Condition Information as Special Categories of Data, and the Legal Aspects of Processing in Labor Relations under GDPR and Georgian Law" Orbeliani Law Review 3, no. 1 (2024): 71–84. https://journals.sabauni.edu.ge/index.php/olr/issue/view/48/46.

- Simon Takashvili "Infringement of Special Categories of Personal Data and the Data Subject's Rights Under GDPR and Georgian Law." L'Europe Unie / United Europe no. 22 (2025): 64–73. https://www.researchgate.net/publication/389677284_222025_L'EUROPE_UNIEUNITED_EUROPE_PARIS_EU_Enlargement_and_Resilience_Legal_and_Economic_Reforms_on_Georgia's_Path_to_Integration_L'Europe_unieUnited_Europe_-_special_volume_-_no_222025_Paris-Cluj_Nap.

- Simoni Takashvili,and Giorgi Mtchedlishvili "The Scope of Contractor's (Employee's) Liability for Breach of Construction Contract Under Georgian Law

" European Review of Law & International Relations no. 2/2025/74 (2025): 201-214 https://ojs.academicon.pl/eppism/issue/view/621/196.

- Tsisia Okropiridze Enhancing Capacities for Sustainable Community Engagement: Cases of Georgia and Sierra Leone. ENHANCE-GSL, Co-Funded by the Erasmus+ Programme of the European Union, European Education and Culture Executive Agency, 2024–25.

- Ushangi Bakhtadze In legibus fundamentum rei publicae. In Collection of Scientific Papers of the Comparative Research Platform 2023, 541–81. 2025. https://doi.org/10.32041/9788367149754/13.

- Marie Eliadze. "Threats to Democracy: Nationalism, Populism, Extremism and Christianity's Response to Them." In Ruch Biblijny i Liturgiczny, 90–95. Kraków: UNUM Publishing House, 2025. ISBN 978-83-7643-258-8. https://doi.org/10.21906/9788376432588

- თეიმურაზ ბუაძე. "რუსული პოლიტიკური მართლმადიდებლობა XX საუკუნის დასასრულს." დიალოგი 8 (17) (2024): 28–63.https://doi.org/10.52340/jd.2024.17.08.02

- სიმონ ტაკაშვილი. "პერსონალური მონაცემების დამუშავების სტანდარტი დასაქმებულის სამუშაო სივრცის ვიდეომონიტორინგისას " სამართლის მეთოდები no. 8 (2024): 125–50.

- გურამ ანანეიშვილი. "პოლიტიკური ანომია და სამოქალაქო ომი" ორბელიანი ტომ. 6, no. 07 (2024). https://doi.org/10.52340/jo.2024.06.07.05.

- ვაჟა ვარდიძე „საბჭოთა ტრავმის ექო: ეკლესია საბჭოთა კავშირიდან პოსტსაბჭოურ ეპოქაში გადასვლის პროცესში"ტომ. 8 (2024): დიალოგი 5-31 https://doi.org/10.52340/jd.2024.17.08.01

- გურამ ლურსმანაშვილი „სერგი ბულგაკოვი – პიროვნება და თეოლოგი“ტომ. 8 (2024): დიალოგი https://doi.org/10.52340/jd.2024.17.08.04

- Andreas P. Zachariou “The One Hundred and Fifty Chapters in the Collection of Philokalia: Observations on a Peculiar Feature”. ტომ. 8 (2024): დიალოგი https://doi.org/10.52340/jd.2024.17.08.06

- ნინო მუხადგვერდელი, „რჩევები შემოსავლების გადახდასა და ამერიკულ სამართლოვან რეალიზმზე,“ ორბელიანი, ტომი 6, ნომერი 07 (2024), https://doi.org/10.52340/jo.2024.06.07.03

- გაგოშიძე, მარიამ. „რჩევები შემოსავლების გადახდებისა და სამართლებრივი მეთოდი.“ ორბელიანი, ტომი 6, ნომერი 07 (2024). . https://doi.org/10.52340/jo.2024.06.07.02

- ხუბულური, თამარ. „□დვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის მე-2 წინადადების ჰერმენევტიკისათვის.“ სამართლის მეთოდები 8, no. 1 (2024). https://doi.org/10.52340/lm.2024.08.01.03.

- ტუსაშვილი, თამარ. „სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის ათვლა: ერთ საქმესთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ორი აქტის ანალიზი.“ სამართლის მეთოდები 8, no. 1 (2024). . https://doi.org/10.52340/lm.2024.08.01.04

- შეყილაძე, ხატია. „სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი.“ სამართლის მეთოდები 8, no. 1 (2024). https://doi.org/10.52340/lm.2024.08.01.05.

სხვა პუბლიკაციები

- ნინო გრიგოლაია და ნინო გრიგალაშვილი. “რეალობის პარადოქსი GIC ეკონომიკაში: შესაძლებლობები, გამოწვევები და დაძლევის გზები / The Gig Economy’s Reality Paradox: Opportunities, Challenges and Solutions.” მეცნიერება და ინოვაცია 4 (2024): 621–30.

- გურამ ლურსმანაშვილი. “რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მძიმე წარსულიდან.” ზღვარი – მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა (2024): 50–56.

- გურამ ლურსმანაშვილი. “გიორგი ფლოროვსკი მართლმადიდებელი ეკლესიის სამონასტრო და ასკეტური ტრადიციის შესახებ.” ზღვარი – მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა (2024).

- გურამ ლურსმანაშვილი. “ქრისტეს განკაცების შესახებ – მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი.” ზღვარი – მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა (2024).

- თეიმურაზ ბუაძე. “ეროვნული იდენტობა.” გული გონიერი 25 (2024): 117–46. ISSN 1512-3650. https://paseuloba.ge/index.php?m=11.

- თეიმურაზ ბუაძე. “ბოროტების გაგება ‘ოიდიპოს მეფეში,’ ‘ვეფხისტყაოსანსა’ და ‘ღვთაებრივ კომედიაში.’” გული გონიერი 26 (2024): 99–124. ISSN 1512-3650. https://paseuloba.ge/index.php?m=11.

- თეიმურაზ ბუაძე. “როგორ შეცვალა ქრისტიანობამ ქალების მდგომარეობა.” გული გონიერი 27 (2025): 18–31. ISSN 1512-3650. https://paseuloba.ge/index.php?m=11.

- თეიმურაზ ბუაძე. “უცვალებელი და ცვალებადი ქრისტიანობაში.” გული გონიერი 28 (2025): 28–48. ISSN 1512-3650. https://paseuloba.ge/index.php?m=11.

- მზიაჯამაგიძე “ჰეტეროტემპორალობის კონცეფცია არჩილ ქიქოძის რომანში ‘ხვლიკი საფლავის ქვაზე.’” კრებულში XVII საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები: ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები – პატარა ქვეყნების ლიტერატურები და თანამედროვე გლობალური სამყაროს გამოწვევები, 352–56. 2024. https://doi.org/10.62119/cils.17.2024.8765.

- მზია ჯამაგიძე“დროისა და სივრცის დასასრულის შიში ირაკლი სამსონაძის რომანში ‘ნუციკოდან ნუციკომდე.’” კრიტიკა 19 (2024): 120–30. ISSN 0206-5746.

- ავთანდილ ჯოხაძე. “სახელმწიფო და მეორედ მოსვლა.” გული გონიერი 28 (2025): 143–63. ISSN 1512-3650. www.paseuloba.ge; www.iveriisa.ge.

- მაკა ბენაშვილი. „ესტონეთის ციფრული ტრანსფორმაცია: ლექტრონული მმართველობის წარმატებული მოდელი . თბილისი: საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი,” 2025. ISBN 978-9941-28-963-7. https://doi.org/10.36073/978-9941-28-963-7.

- Tamta Kenia “Utilization of digital health technologies in providing helthcare services to foreign patients in conflict zones” at the International Conference on the ‘Context of Reforming the Legal System: Modern Realities and International Experience.’ 2024, p. 5

წიგნები

- ჯოხაძე, ავთანდილ. ერის სახელმწიფო. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2024.

- Mariam Jikia & Dimitri Gegenava, eds., Migration Policy and Legal Responses: Comparative Perspectives from Visegrad, Western Balkans, and Eastern Partnership Countries (Tbilisi: Sulkhan-Saba Orbeliani University, 2025).
- მათე ხვედელიძე. „სახელმწიფოსა და უცხოელ ინვესტორს შორის წარმოშობილი საერთაშორისო საინვესტიციო დავის მიმართ გამოსაყენებელი სამართალი და დავის გადაწყვეტის საშუალებები“. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2025. ISBN 978-9941-8-7642-4.
- სინგაპურის კონვენციის კომენტარი. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ISBN 978-9941-8-6419-3.
- გურამ ანანეიშვილი „სტრუქტურული ანალიზის საფუძვლები” თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2025
- ფარცვანია მაკა „განახლებადი ენერგიის ბაზარზე სახელმწიფო კონტროლის სამართლებრივი ფარგლები“. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2025 https://doi.org/10.63410/9789941874987

III საერთაშორისო კონფერენციები

1. II International Conference Challenges of Medical Education 2025
2. II International Conference Society in Transition 2025
3. II International Conference The Church in the Second Millennium 2025
4. International conference Civil Procedural Law and ADR
5. International-Congress Migration Policy and Legal Responses 2025
6. VII International Conference in Development Studies 2025
7. VIII საერთაშორისო კონფერენცია კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში 2025

სხვა კონფერენციები

- „ფუტუროლოგია და იმედი: პროგნოზები, შესაძლებლობები, გამოწვევები“ თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 02 .06. 2025

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

2024-2025 სასწავლო წლის მანძილზე სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ პარტნიორ უნივერსიტეტებში დაგეგმილ სხვადასხვა

ტიპის საერთაშორისო ღონისძიებებში როგორიცაა: Erasmus+ ICM (საერთაშორისო კრედიტების მობილობა - ესპანეთი, ჩეხეთი, ნორვეგია, პოლონეთი, უნგრეთი), საზაფხულო სკოლები (ხორვატია, საფრანგეთი), საერთაშორისო კონფერენციები.

Erasmus+ საერთაშორისო მობილობებით ისარგებლეს ასევე საბაუნის აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა უცხოეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში (ესპანეთი, ნორვეგია, რუმინეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, ხორვატია, პოლონეთი, ესტონეთი).

2024-2025 სასწავლო წლის მანძილზე სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში ვუმასპინძლეთ პარტნიორი უნივერსიტეტების (სლოვაკეთი, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, გერმანია, ჩეხეთი) პროფესორებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას.

საანგარიშო აკადემიური წლის მანძილზე საბაუნის ხუთი წარმომადგენელი დაესწრო საუნივერსიტეტო ფედერაციების გენერალურ ასამბლეებს. (FUCE, ELFA, AMEE). ამავე წლის მანძილზე სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი გაწევრიანდა სამი ზღვის უნივერსიტეტების ქსელში და ასევე, ევროპის სამართლის ფაკულტეტების ქსელში (ELPIS_European Law Faculties Networs).



მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში საბაუნის საერთაშორისო პარტნიორობა გაფრთოვდა, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება 7 უცხოურ უნივერსიტეტთან.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა უმასპინძლა 7 საერთაშორისო კონფერენციას.

მიმდინარე წლის 26-30 მაისს, საბაუნიში ჩატარდა მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კვირეული, რომლის ფარგლებში უნივერსიტეტს სტუმრობდა 20 უცხოელი პროფესორი საბერძნეთიდან, ჩეხეთიდან, და პოლონეთიდან. კვირეულის ფარგლებში გაიმართა ხუთი საერთაშორისო კონფერენცია, საჯარო ლექციები, მრგვალი მაგიდის ტიპის შეხვედრა და ინდივიდუალური შეხვედრები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

მედიცინის ფაკულტეტის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი პირველი სამედიცინო დახმარების შესახებ.

საერთაშორისო კონფერენციებში აკადემიური პერსონალის მონაწილეობის რაოდენობა: 58

1. სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მაია მანჩხაშვილი და აფილირებული ასისტენ პროფესორი მაკა ბენაშვილი ჩეხეთის სამთავრობო გრანტის ფარგლებში, კვლევითი პროექტით ჩეხეთში, ოლომოუცის პალაცკის უნივერსიტეტში იმყოფებოდნენ 2024-2025 (ერთწლიანი პროექტი).
2. საბაუნის ადმინისტრაციის სამმა წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო კათოლიკური უნივერსიტეტების პარტნიორობის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში „კათოლიკური ლიდერობა“, რომელიც რომში გაიმართა.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მონაწილეობით დაფინანსდა Erasmus+ KA2 CBHE პროექტი თემაზე „Enhancing Capacities for Sustainable Community Engagement: Cases of Georgia and Sierra Leone”. პროექტის ხანგრძლივობა ორი წელი (2024-2026).

ხარისხის მართვის სამსახური

2024-2025 სასწავლო წლის ანგარიშის ფარგლებში, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური საქმიანობას წარმართავდა ორი ძირითადი მიმართულებით: ერთი მხრივ, უნივერსიტეტის ავტორიზაციასა და აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება და შესაბამისი პროცესების ორგანიზება, ხოლო მეორე მხრივ — სწავლების და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლება. აღნიშნული ამოცანები ხორციელდებოდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე დაყრდნობით და უწყვეტი მონიტორინგის გზით.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ბიზნესის კლასტერის ექსერტების ვიზიტი და 2025 წლის 31 იანვრის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით კლასტერში შემავალ ექვსივე პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია;

- საანგარიშო პერიოდში მომზადდა და ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაიგზავნა ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში, სადაც ამავე საბჭოს მიერ ანგარიში მიიღეს ცნობის სახით.

- შემუშავდა და სააკრედიტაციო განაცხადი გაკეთდა შემდეგ ახალ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

1. აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა;

2. ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;

3. მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა.

სამივე პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში დაწესებულებაში განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტების ვიზიტი;

- მიმდინარე წლის 8 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით „აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის“ სამაგისტრო პროგრამამ მიიღო უპირობო აკრედიტაცია.

- თეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში მომზადდა და ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს გაეგზავნა გეგმიური 3 წელიწადში ერთხელ წარსადგენი შუალედური თვითშეფასების ანგარიშის ფორმა და შესაბამისი მტკიცებულებები;

- ხარისხის მართვის სამსახურისა და სამართლის ფაკულტეტის ორგანიზებით აქტიურად დაიწყო წინამოსამზადებელი სამუშაოები სამართლის პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის მიმარულებით;

- საანგარიშო პერიოდში ხარისხის მართვის სამსახურმა, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობით აქტიურად დაიწყო მზადება ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიმართულებით. კერძოდ: „შედარებითი საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამა“.

უნივერსიტეტის „2023-2029 წლების სტრატეგიის დოკუმენტის“ მიხედვით, პროცესებს ორგანიზებას უწევდა ხარისხის მართვის სამსახური. სამსახურმა, როგორც სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელმა ერთეულმა, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და სტრატეგიული მიზნების დადგენილ ვადებში მიღწევადობის მიზნით, 2024-2025 აკადემიური წლის ბოლოს, ივლისის თვეში განახორციელა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, დაამუშავა თითოეული სტრუქტურული ერთეულის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები და დოკუმენტში სახელწოდებით „წლიური ანგარიში 2024 წლის მესამე და მეოთხე და 2025 წლის პირველი და მეორე კვარტლის სტრატეგიული გეგმის შესრულების თაობაზე“ შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები.

ხარისხის შიდა მექანიზმის შესაბამისი გამოკითხვები

- მიმდინარე პერიოდში განახლებული სახით დამტკიცდა „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასები შედეგები და მათი გამოყენების“ წესი. კერძოდ, მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაემატა გამოკითხვის ფორმა სახელწოდებით: „სასწავლო პროცესის მონიტორინგის შეფასების კითხვარი (მედიცინის ერთასაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის)“, რაც შესაბამისად აისახა მარეგულირებელ წესში და გამოკითხვის შედეგების შესაბამის ფორმებში.

- 2024-2025 სასწავლო წლის ფარგლებში ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარდა სემესტრული გამოკითხვები აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ხარისხის მართვის სამსახურმა მიღებული შედეგების საფუძველზე შეიმუშავა შესაბამისი დასკვნები მოქმედი წესის შესაბამისად და აკადემიურ საბჭოსთან ერთად დაამტკიცა კონკრეტული საოპერაციო სამოქმედო გეგმა.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

საანგარიშო პერიოდში ცვლილება შევიდა „სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასებისა და ხელშეწყობის წესში“, სადაც აფილირებული აკადემიური პერსონალისათვის განისაზღვრა მინიმალური წლიური და ჯამური სამეცნიერო დატვირთვები. შესაბამისად, ხარისხის მართვის სამსახურმა, განახლებული ფორმით მოითხოვა აფილირებული აკადემიური პერსონალისა და სამეცნიერო კვლევით ერთეულებისგან 2024-2025 სასწავლო წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშების წარდგენა. პერსონალისა და ცენტრების მიერ მოწოდებული ინფორმაციის დეტალური დამუშავების შედეგად, შემუშავდა დოკუმენტი სახელწოდებით „სულხან-საბა ორბელიანის აფილირებული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში (2024-2025 აკადემიური წელი)“, სადაც ფაკულტეტების

მიხედვით წარმოდგენილია აფილირებული პერსონალის საქმიანობის ანგარიში. მიღებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგები განხილულ იქნა როგორც შესაბამისი ფაკულტეტის დეკანებთან ერთად, ისე აკადემიური საბჭოს ფორმატში.

აკადემური საბჭოს ოქმები

მიმდინარე 2024-2025 სასწავლო წლის ფარგლებში ხარისხის მართვის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა ცხრა აკადემიური საბჭო. სამსახური ასევე უზრუნველყოფდა საბჭოებზე განსახილველი საკითხების წარდგენას, შესაბამისი ოქმების შედგენას, თანდართული დოკუმენტაციების მიხედვით.

ანკეტა-კითხვარები

სამსახურის ინიციატივითა და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან აქტიური კომუნიკაციით შემუშავდა 2024-2025 წლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ანკეტა-კითხვარი, განისაზღვრა მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის ადგილების რაოდენობა და არსებული მონაცემები აისახა სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში.

სხვა აქტივობები

- ხარისხის მართვის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან ოფიციალური მიმოწერის წარმოებას, შესაბამისი კორესპონდენციების გაგზავნას და მიღებულ წერილებზე რეაგირების განხორციელებას;

- მონაწილეობას იღებდა ხარისხის განვითარის ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილ ტრენინგებსა და კონფერენციებში;

- სხვადასხვა საჭიროებების შესაბამისად, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში ეტაპობრივად ინიშნებოდა სამუშაო და საინფორმაციო ტიპის შეხვედრები უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან;

- მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ყოველი სემესტრის დაწყებამდე, არაუგვინეს 2 კვირით ადრე ხარისხის სამსახური ახდენდა სილაბუსებისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების რევიზიას.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის საქმიანობა მოიცავდა:

- პერსონალის შერჩევა, განვითარებასა და კმაყოფილებაზე ზრუნვას;
- ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული და სხვა შიდა საუნივერსიტეტო მარეგულირებელი დოკუმენტებისა და პროცედურების შექმნასა და განახლებას;
- სასწავლო პროცესის მხარდაჭერას;
- უნივერსიტეტის ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესებში ჩართულობას და სხვა.

პერსონალის შერჩევა, განვითარება და კმაყოფილებაზე ზრუნვა

საანგარიშო პერიოდში HR სამსახურმა ეფექტურად განახორციელა **პერსონალის შერჩევა** 17 ადმინისტრაციული და 6 მოწვეული პერსონალის მიმართულებით გამოცხადებულ ღია ვაკანსიებზე, ასვე უზრუნველყოფდა აკადემიური კონკურსების დროულად გამოცხადებასა და დადგენილი ფორმით ჩატარებას. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო წელს განხორციელდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის შერჩევა, რამაც უზრუნველყო ერთის მხრივ უნივერსიტეტის სტრუქტურის შესაბამისობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონთან მეორე მხრივ კი აღნიშნული მიმართულებით შიდა საუნივერსიტეტო პროცესებისა და პროცედურების განახლება და გაუმჯობესება.

პერსონალის შერჩევის შემდგომ სამსახურმა უზრუნველყო ხელშეკრულებების გაფორმება, პირადი საქმეების შექმნა, ადაპტაციის ხელშეწყობა და სხვა ადმინისტრაციული პროცესები. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში სამსახურმა განაახლა ახალი ადმინისტრაციული პერსონალის ადაპტაციის მიდგომები, რომლიც დადებითად აისახა გუნდში ადაპტაციასა და შესასრულებელი ფუნქცია მოვალეობების გააზრებასა და აღქმაზე. აკადემიური და მოწველი პერსონალის ადაპტაციის მიმართულებით კი თითოელი სემესტრის დასაწყისში ჩატარდა შეხვედრები, სადაც უნივერსიტეტის ძირითადმა სტუქტურულმა ერთეულებმა ლექტორებს გაუზიარეს შემდეგი ინფორმაცია:

- სამსახურის შესახებ მოკლე აღწერა;
- მნიშვნელოვანი საკითხები რა ნაწილშიც ურთიერთობა ექნებოდათ ლექტორებთან;
- შიდასაუნივერსიტეტო წესები და საკითხები;
- ბიბლიოთეკისა და შიდა საუნივერსიტეტო ბაზის გამოყენების წესები;
- მნიშვნელოვანი მიღწევები და შესაძლებლობები.

შეხვედრები უზრუნველყოფს ახალი ლექტორების უნივერსიტეტში ადაპტაციასა და სასწავლო პროცესის მაღალი ხარისხით წარმართვასა და მხარდაჭერას.

ადამიანური რესურსების სამსახური პარალელურ რეჟიმში ორიენტირებულია არსებული **პერსონალის შენარჩუნებისა და კმაყოფილების ხარისხის უზრუნველყოფაზე.** მიმდინარე წელს აღნიშნული მიმართულებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები :

- სამსახურის ორგანიზებით დაიგეგმა და განხორციელდა ექსკურსია სამეგრელოში, ასევე შეხვედრა კვიპროსის მთავარეპისკოპოსთან ნიქოზიაში.
- ჩატარდა ჯანმრთელობის დაზღვევით კმაყოფილების კვლევა და ანალიზი, რომლის საფუძველზეც გაფორმდა ხელშეკრულება ახალ სადაზღვეო კომპანიასთან.
- საანგარიშო წლის განმავლობაში სამსახური უზრუნველყოფდა თანამშრომლებისთვის ჯანმრთელობის დაზღვევისა და ფიტპასის შეთავაზებასა და სერვისებში ჩართვას.
- დღესასწაულებზე სიმბოლური საჩუქრების მომზადებასა და გადაცემას თანამშრომლებისათვის.
- ჩატარდა კმაყოფილების კვლევა, რომლის მიზანი იყო როგორც აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების დონის შეფასება და ცალკეულ ასპექტებთან დაკავშირებით მათი დამოკიდებულებების დადგენა. კვლევაში გაიზომა ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტებით კმაყოფილება, როგორიცაა:
    - ჩართულობა;
    - საქმისადმი ინტერესი;
    - შეფასების სისტემა;
    - აკადემიური თავისუფლება;
    - სამოტივაციო სისტმა;
    - უკუკავშირი;
    - ხელმძღვანელთან თანამშრომლობა;
    - გუნდურობა;
    - კორპორატიული კულტურა;
    - პროფესიული განვითარება;
    - საბაუნის როგორც ბრენდით კმაყოფილება;
    - ადაპტაცია; რესურსები;
    - ანაზღაურება;
    - სამსახურიდან წასვლა
- კვლევის ანალიზის შემდგომ განხორციელდა მართველი გუნდისთვის შედეგებისა და რეკომენდაციების გაცნობა და მათი ჩართულობით სამოქმედო გეგმის შემუშავება. აღნიშნული გეგმის ფარგლებში თანამშრომლებს შეეთავაზათ:

- უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული ინგლისური ენის კურსები;
- მოქნილი სამუშაო გრაფიკი (შემცირებული სამუშაო დრო, დისტანციურად მუშაობის შესაძლებლობა);
- გაუმჯობესებული შევებულების დაგეგმვის მიდგომა.

- სამსახურის მიერ დაიგეგმა და ჩატარდა შეხვედრა ადმინისტრაციის თანამშრომლებთან კმაყოფილების კვლევის შედეგად გამოკვეთილი შედეგების გაცნობისა და დაგეგმილი სიახლეების გაცნობის მიზნით. შეხვედრამ ხელი შეუწყო თანამშრომლების დაფასების, უკუკავშირის კულტურის, ღია კომუნიკააციისა და აღნიშნული კვლევის მნიშვნელობის კულტურის გაძლიერებას

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მუშაობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა **პროფესიული განვითარების ღონისძიების დაგეგმვა და განხორცილება.** უნივერსიტეტის პერსონალისთვის 2024-2025 აკადემიური წლის განმავლობაში ჩატარდა მნიშვნელოვანი ტრენინგები, რომლებიც მიმართული იყო ერთი მხრივ მათი მენტალური ჯანმრთელობის კეთილდღეობაზე მეორე მხრივ კი ცოდნისა და უნარების განვითარებაზე. აღნიშნულ ტრენინგებში ჩართული იყო 180-ზე მეტი თანამშრომელი. ტრენინგები მოიცავდა შემდეგ თემებს:

- Clinical Competence and Professional Development in Workplace-Based Assessment (WBA, CBD, DOPS, Mini-CEX);
- ტრენინგების ციკლი თემაზე “პირველადი სამედიცინო დახმარება”
- Grant Writing for Success;
- ქალის ცხოვრების რიტმი და შინაგანი ბალანსის ხელოვნება;
- საჯარო ლექცია-ფოლიუმის მჟავა - მნიშვნელოვანი ფაქტორი დედისა და ბავშვის ჯანმრთელობისთვის;
- სამეცნიერო გავლენის გაზრდის შესაძლებლობები მკვლევართათვის;
- როგორც დავწეროთ და მოვამზადოთ გამოსაქვეყნებლად სტატია მაღალრეიტინგული ჟურნალებისთვის (Scopus, WoS);
- ვორკშოპი: სამეცნიერო გავლენის გაზრდის შესაძლებლობები მკვლევართათვის;
- ტრენინგი "პერსონაურ მონაცემთა დაცვა";
- ტრენინგი "მრავალფეროვნება, თანასწორობა და ჩართულობა (DEI);
- წყაროთა დამოწმებისა და მითითების ტექნიკა.

ყოველივე ზემოთ ხსენებულის მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტს ჰყავდეს შესაბამისი კვალიფიკაციის, მოტივირებული პერსონალი, რომელთა პოტენციალის გამოყენება აუცილებელი და საჭიროა უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისთვის. აღნიშნული საკითხების ეფექტურობაზე მეტყველებს 2024-25 აკადემიური წლის პერსონალის სტატისტიკური მაჩვენებლები:



	ადამინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ-პროფესორი	ასისტენტი	მოწვეული პერსონალი
კაცი	18	7	25	4	12	17
ქალი	36	8	56	5	21	38



საანგარიშო წლის პერიოდში სამსახური აქტიურად ახორციელებდა ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული და სხვა შიდა **საუნივერსიტეტო მარეგულირებელი დოკუმენტებისა და პროცედურების შექმნასა და განახლებას**. კერძოდ სამსახურის მიერ შეიქმნა

- გენდერული თანასწორობის გეგმა (Gender Equality Plan);
- დასუფთავების თანამშომლების სამუშაოს შესრულების რუკა;

ასევე განხორციელდა

- დეკანის თანაშემწის სამუშაოს ანალიზი და განახლება სამუშაო აღწერა;

ასევე სამსახური მონაწილეობდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასებისა და ხელშეწყობის წესის განახლებაში

აღნიშნულმა პროცესმა კიდევ უფრო გამოკვეთა თითოეული თანამშრომლის როლი ორგანიზაციაში. მკაფიოდ და სწორად სტრუქტურირებული ორგანიზაციული სახელმძღვანელო ეხმარება კომპანიის მენეჯმენტს, ორგანიზაციულ ერთეულებსა და თითოეულ თანამშრომელს საკუთარი უფლება-მოვალეობების, პასუხისმგებლობების სწორად

აღქმასა და განხორციელებაში. საბოლო ჯამში კი ორიენტირებულია ორგანიზაციული მიზნების მიღწევასა და თითოეული თანამშრომლის კმაყოფილების გაუმჯობესებაზე.

სასწავლო პროცესის მხარდაჭერა

სააანგარიშო პერიოდში სამსახური მუდმივ რეჟიმში გასცემდა დასაქმებულთა ცნობებს, აგვროვებდა და ავსებდა სტატისტიკურ ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ სამსახურის ერთ-ერთი მსხვილი ფუნქცია ლექტორების საათობრივი დატვირთვის ანალიზია. ამის შეშაბამისად კი საანგარიშო წელს განხორციელდა შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრის აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვების შესაბმის, დამტკიცებულ ფორმაში გაერთიანება, ანალიზი და QMS ბაზაში ასახვა. ასევე საანგარიშო წლის დასაწყისში განხორციელდა წინა წლის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ანგარიშის გაცნობა და აფილირებული პერსონალის საქმიანობის შეფასების ანალიზი. სამსახურმა გაანალიზა ხარისხის სამსახურის მიერ დამუშავებული სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შედეგები, რის საფუძველზეც თითოეულ აფილირებულ პერსონალს გაუზიარდა შესრულებასთან დაკავშირებული უკუკავშირი, საბოლოოდ კი განხორციელდა რექტორის ბრძანების შესაბამისად ერდჯერადი ფულადი პრემიის ოდენობის გამოთვლა, გაცემასთან დაკავშირებული პროცედურები. აფილირებული პერსონალის მიმართ ვინც ჯეროვნად ვერ შეასრულა სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა გაიწერა სამოქმედო გეგმა, რის მიხედგვითაც განხორციელდა კონკრეტული ნაბიჯები.

აკრედიტაციის პროცესებში ჩართულობა

ადამიანური რესურსების მართვის სამსხური აქტიურად იყო ჩართული ახალი პროგრამების, აკრედიტაციის, არსებული პროგრამების რეაკრედიტაციისა და ანგარიშების მოსამზადებელ პროცესში, კერძოდ:

- ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გასაგზავნი ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის მომზადებაში;
- ახალი პროგრამების ფარგლებში განახლდა და შემუშავავდა არსებული და ახალი პერსონალის პირადი საქმეები, მათშორის ჩატარდა პროგრამებში ჩართული პერსონალის ქართული და ინგლისური CV - ბის განახლება და მონიტორინგი, პერსონალის დატვისტვის ასახვა შესაბამის

ფორმაში და თვითშეფასების ჯგუფის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. აღნიშნული ახალი პროგრამებია:

- აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა;
- ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური

2024–2025 წლებში საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური აქტიურად და მიზანმიმართულად მუშაობდა უნივერსიტეტის ცნობადობის ზრდაზე და პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბება–გაძლიერებაზე.

სამსახურის ძირითადი ფოკუსი იყო შიდა და გარე აუდიტორიებთან ეფექტიანი კომუნიკაციის ჩამოყალიბება, რაც ხელს უწყობდა უნივერსიტეტის, როგორც წამყვანი საგანმანათლებლო ინსტიტუციის, პოზიციონირებას და მისი ძლიერი მხარეების წარმოჩენას.

ანგარიშგების პერიოდში, სამსახური აქტიურად იყო ჩართული უნივერსიტეტის მრავალფეროვან ღონისძიებებში, რომელთა საერთო რაოდენობა 100-ს აღემატებოდა. მათ შორის:

- საჯარო ლექციები
- საერთაშორისო და სტუდენტური კონფერენციები
- ვორკშოპები
- საინფორმაციო შეხვედრები
- საერთაშორისო პარტნიორების ვიზიტები
- დასაქმების ფორუმები
- სხვა ტიპის აქტივობები

უნივერსიტეტის ცნობადობა

უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება სამსახურის მთავარი პრიორიტეტი იყო, რაც მოიცავდა როგორც ახალი ინიციატივების განხორციელებას, ასევე არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებას. ამ მიზნის მისაღწევად, დაიგეგმა და განხორციელდა არა ერთი ღონისძიება და აქტივობა.

ანგარიშგების პერიოდში უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობდა ონლაინ გამოცემებთან რაც უზრუნველყოფდა უნივერსიტეტის აქტიური ყოფნას მედია-სივრცეში. გამოქვეყნებული მედია მასალა გამოირჩეოდა როგორც შინაარსის, ისე ფორმატის მრავალფეროვნებით. ფოკუსირდებოდა

უნივერსიტეტის ძლიერ მხარეებზე: წარმატებული სტუდენტების გამოცდილებაზე, საგანმანათლებლო პროგრამებზე, აკადემიური პერსონალის პროფესიულ მიღწევებზე, უნივერსიტეტის სიახლეებსა და სტუდენტებისთვის შექმნილ შესაძლებლობებზე.

კომუნიკაცია ხორციელდებოდა წინასწარ შედგენილი წლიური და თვიური მარკეტინგული გეგმის შესაბამისად. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა უნივერსიტეტის მიღწევების, კვლევითი პროექტების, წამყვანი პროფესორებისა და წარმატებული სტუდენტების ისტორიების წარმოჩენაზე.

უნივერსიტეტი, საქართველოს მასშტაბით 1000-ზე მეტ აბიტურიენტს შეხვდა, მათთვის ორგანიზებულ იქნა საინფორმაციო შეხვედრების, საინტერესო ტრენინგებისა და კონკურსების ჩატარება, სადაც სკოლის მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ უნივერსიტეტის შესაძლებლობებს, აკადემიურ პროგრამებსა და სტუდენტურ ცხოვრებას, რაც თავის მხრივ ცნობადობის კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო.

ციფრული კომუნიკაცია

შექიმნა მარკეტინგული სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც უნივერსიტეტის ციფრული კომუნიკაციის ერთგვარ გზამკვლევად იქცა. დოკუმენტში გაერთიანებულია ბრენდზე მორგებული სტანდარტები, საკომუნიკაციო მიმართულებები, კონტენტის ტიპები და ფორმატები, ასევე ის არხები, რომელთა მეშვეობითაც უნივერსიტეტი მიზნობრივ აუდიტორიას ესაუბრება და რეკლამის მენეჯმენტს ახორციელებს.

სოციალური მედია სამსახურის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი იყო. მისი გამოყენება მიზნად ისახავდა უნივერსიტეტის ცნობადობის ზრდას, სამიზნე სეგმენტის მოცვას, სიახლეების ეფექტიან გავრცელებას სტუდენტებთან და პარტნიორებთან კომუნიკაციის გამარტივებას.

მომზადდა არაერთი პროფესიონალური ვიდეო, რომელიც წარმოაჩენდა უნივერსიტეტის გარემოს, საგანმანათლებლო პროგრამებს, კვლევით მიღწევებსა და სტუდენტურ ცხოვრებას. მასალები ფართოდ ვრცელდებოდა ციფრული არხებით და ხელს უწყობდა უნივერსიტეტის შესაძლებლობების მრავალფეროვანი და საინტერესო კუთხით წარმოჩენას.

მათ შორის იყო ვიდეოები თემებზე:

- უცხოელი ლექტორების გაცნობა;
- დასაქმებული სტუდენტები;
- პროგრამები და ფაკულტეტები;
- გაცვლითი პროგრამები.

- შესაძლებლობები

კონტენტის უნიკალური ნახვები წინა პერიოდთან შედარებით გაორმაგდა. სოციალური მედიის მიზანმიმართულმა რეკლამამ უზრუნველყო აუდიტორიისთვის საკვანძო საკითხებზე (აკადემიური მიღწევები, საერთაშორისო პროექტები, სტუდენტური აქტივობები, საგანმანათლებლო პროგრამები და შეთავაზებები) მუდმივი და მიზნობრივი კომუნიკაცია.

სარეკლამო პოლიტიკა ეფუძნებოდა ბიუჯეტის ოპტიმალურ გამოყენებას, რამაც შესაძლებელი გახადა უნივერსიტეტის პოზიციონირება ეფექტურ ციფრულ გარემოში და მნიშვნელოვნად გაზარდა აუდიტორიის ჩართულობა. თანმიმდევრული და ხარისხიანი კონტენტის წარმოებამ გააძლიერა როგორც ორგანული, ისე სარეკლამო შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური კვლევა არ ჩატარებულა, არსებული მონაცემები ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტის პოზიციონირება ციფრულ სივრცეში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა.

ინფლუენსერული მარკეტინგი

ინფლუენსერების ჩართულობამ მნიშვნელოვანი ღირებულება შექმნა, რადგან უნივერსიტეტს შესაძლებლობა მიეცა მიეღწია იმ ახალგაზრდულ სეგმენტამდე, რომელსაც ტრადიციული საკომუნიკაციო არხები ნაკლებად იზიდავს. შესაბამისად, ინფლუენსერული მარკეტინგი უნივერსიტეტის ბრენდისთვის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებად იქცა.

ორბელიანის აკადემია

2024–2025 წლის საანგარიშო პერიოდში ორბელიანის აკადემია მრავალ სკოლას ესტუმრა და გამართა შეხვედრები 1000-მდე მოსწავლესთან. ძირითადი სამიზნე სეგმენტი იყო მე-10–მე-12 კლასის მოსწავლეები, თუმცა მონაწილეთა ნაწილი მოიცავდა მე-9 კლასის მოსწავლეებსაც.

ინტერაქტიულმა და პრაქტიკაზე ორიენტირებულმა ფორმატმა მნიშვნელოვნად გაზარდა სკოლის მოსწავლეების ინტერესი უნივერსიტეტის მიმართ, ხელი შეუწყო მათ აკადემიურ სივრცესთან დაახლოებას და გაზარდა მათი მომავალი აბიტურიენტობის პოტენციალი. პროექტმა არა მხოლოდ ცოდნის გადაცემა უზრუნველყო, არამედ საფუძველი ჩაუყარა მომავალ თანამშრომლობას სკოლებსა და უნივერსიტეტს შორის.

განხორციელებული აქტივობები	მოსწავლეების სტატისტიკა
ტრენინგი: პატიმრობა, უსაფრთხოება და სამართლიანი სასამართლოს უფლება.	20
იმიტირებული სასამართლო პროცესის ტრენინგი	30
იმიტირებული სასამართლო	30
სამართლის ფაკულტეტის შეხვედრა მოსწავლეებთან საბაუნიში	20
ტრენინგი: პატიმრობა, უსაფრთხოება და სამართლიანი სასამართლოს უფლება.	20
იმიტირებული სასამართლო პროცესის ტრენინგი	20
იმიტირებული სასამართლო	20
დებატების ტრენინგი	15
ლექცია: გარემოსდაცვითი სამართლის ძირითადი პრინციპები	30
ონლაინ შეხვედრა მასწავლებლებთან - "AI სწავლებაში"	200
იმიტირებული სასამართლო	35
ონლაინ შეხვედრა მასწავლებლებთან - "საქართველოს გეოპოლიტიკური ვითარება"	80
სოც.მეცნიერების ფაკულტეტის შეხვედრა მოსწავლეებთან საბაუნიში	35
ლექცია: "დეზინფორმაცია სოციალურ მედიაში"	35
დებატების ტრენინგი	20
ესეების კონკურსის ტრენინგი	15
ესეების კონკურსი	12
იმიტირებული სასამართლო პროცესის ტრენინგი	15
იმიტირებული სასამართლო	15
სამართლის ფაკულტეტის შეხვედრა მოსწავლეებთან საბაუნიში	40
ონლაინ შეხვედრა მასწავლებლებთან - "როგორ ჩავატაროთ იმიტირებული სასამართლო პროცესი სკოლებში"	100
დებატების ტრენინგი	12
დებატების ჩემპიონატი	12

სკოლებში ვიზიტი	მოსწავლეების სტატისტიკა
თბილისის 133-ე საჯარო სკოლა	25
თბილისის 87-ე საჯარო სკოლა	30
ყვარლის პირველი საჯარო სკოლა	20
თელავის მე-5 საჯარო სკოლა	25
თელავის მე-7 საჯარო სკოლა	30
თელავის მე-4 საჯარო სკოლა	30
თელავის მე-3 საჯარო სკოლა	25

თელავის პირველი საჯარო სკოლა	15
რუსთავის 23-ე საჯარო სკოლა	80
რუსთავის მე-5 საჯარო სკოლა	60
თბილისის 192-ე საჯარო სკოლა	120
მარნეულის მე-5 საჯარო სკოლა	30
საერთაშორისო ქართული სკოლა	30
თბილისის 175-ე საჯარო სკოლა	25
გორის მე-4 საჯარო სკოლა	20

სტუდენტურ საქმეთა სამსახური

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტისთვის მთავარი პრიორიტეტია სტუდენტი და შესაბამისად, მათზე მორგებული გარემოს შექმნა. სწორედ ამ მიდგომიდან გამომდინარე, უკვე რამდენიმე წელია უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტურ საქმეთა სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხარდაჭერას კარიერულ განვითარებასა და დასაქმების პროცესში. ამ მიზნით, უნივერსიტეტში აქტიურად ხორციელდება როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური კონსულტაციები, რომლებიც ეხმარება სტუდენტებს პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრასა და კარიერული გზის დაგეგმვაში.

სტუდენტურ საქმეთა მენეჯერი უზრუნველყოფს თანამშრომლობის კოორდინირებას სხვადასხვა სახელმწიფო, კერძო და სამოქალაქო სექტორთან, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ პრაქტიკისა და დასაქმების რეალური შესაძლებლობები. სტუდენტურ საქმეთა სამსახური აწვდის ინფორმაციას აქტიური ვაკანსიების შესახებ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

გარდა ამისა, სტუდენტებისთვის ტარდება პრაქტიკული ტრენინგები, სადაც ისინი ეუფლებიან ისეთი უნარების განვითარებას, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე შრომის ბაზარზე: CV-სა და სამოტივაციო წერილის სწორად შედგენა, გასაუბრებისთვის მომზადება, პროფესიული კომუნიკაცია, ეფექტიანი პრეზენტაცია და დროის მართვა.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი აწყობს დასაქმების ფორუმს, სადაც ერთ სივრცეში იკრიბებიან სხვადასხვა სფეროს დამსაქმებლები და სტუდენტები. ფორუმი საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს უშუალოდ გაესაუბრონ კომპანიების წარმომადგენლებს, უკეთ გაეცნონ შრომის ბაზრის მოთხოვნებს, გაიარონ ინტერვიუები და მიიღონ კონკრეტული სამუშაო თუ სტაჟირების შეთავაზებები.

ამგვარად, უნივერსიტეტი ქმნის პირობებს, რომ მისი სტუდენტები და კურსდამთავრებულები იყვნენ კონკურენტუნარიანები და წარმატებით მოახდინონ ინტეგრაცია დასაქმების ბაზარზე.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში მოქმედებს საგრანტო კონკურსის ყოველწლიური პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს საშუალება აქვთ, განახორციელონ თავიანთი ინიციატივები ინდივიდუალურად, ჯგუფურად ან აკადემიურ პერსონალთან ერთად. ეს პროგრამა ხელს უწყობს მათ, სწავლის პერიოდშივე, პრაქტიკაში გამოიყენონ თეორიული ცოდნა და გაიუმჯობესონ ის უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებლად დაეხმარებათ წარმატებით დასაქმებაში უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 6 პროექტი. საგრანტო კონკურსის გამოცხადებამდე სტუდენტები გადიან მოსამზადებელ ეტაპს, რაც გულისხმობს პრაქტიკული ტრენინგების დაგეგმვას სტუდენტებისთვის. პროექტის მართვაზე ორიენტირებული ტრენინგები სტუდენტებს ამ მიმართულებიც ცოდნის მიღებაში ეხმარება. ამ მხრივ ვთანამშრომლობთ ორგანიზაციებთან და ვგეგმავთ მათთან ერთად ტრენინგებს სტუდენტებისთვის.

საგრანტო კონკურსის ფარგლებში „Halloween"-ის ღონისძიება განხორციელდა, რომელიც მიზნად ისახავდა სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებას. ღონისძიება სტუდენტებისთვის არა მხოლოდ გართობის, არამედ აქტიური ჩართულობის სივრცედ იქცა. მონაწილეებმა შეძლეს გუნდური მუშაობის გამოცდილების მიღება, კომუნიკაციისა და ორგანიზაციული უნარების გაძლიერება;

ასევე, საგრანტო კონკურსის ფარგლებში, 2025 წლის 8 მარტს განხორციელდა პროექტი „ქალთა დღე", რომლის მიზანი იყო ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა და გენდერული თანასწორობის საკითხების პოპულარიზაცია. ღონისძიება სტუდენტებს საშუალებას აძლევდა მიეღოთ ცოდნა ქალთა უფლებებისა და მათ საზოგადოებრივ როლის შესახებ, რაც ხელს უწყობდა სტუდენტებში ცნობიერების ამაღლებასა და აქტიური მოქალაქეობის მხარდაჭერას.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი აქტიურად უზრუნველყოფს სტუდენტური კლუბების სისტემის განვითარებას, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების იდეებისა და ინიციატივების რეალიზებას. უნივერსიტეტში შექმნილი გარემო აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას, საკუთარი ინტერესებისა და ხედვების საფუძველზე ჩამოაყალიბონ კლუბები, დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა აქტივობა უნივერსიტეტის მხარდაჭერით. ამ პროცესში ისინი იღებენ როგორც თეორიულ ცოდნას, ისე პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც მათ ეხმარება ლიდერობის, გუნდური მუშაობისა და ორგანიზაციული უნარების განვითარებაში.

სტუდენტების კურიკულუმის გარე აქტივობების სრულყოფის მიზნით, 2025 წელს სტუდენტები მონაწილეობდნენ სხვადასხვა ღონისძიებაში, მათ შორის „უნივერსიადა 2025" და „სტუდფესტი 2025". აქტივობები მოიცავდა სპორტულ შეჯიბრებებს, რამაც ხელი შეუწყო გუნდურობის, ლიდერული უნარების განვითარებას და აქტიური სტუდენტური ცხოვრების გაძლიერებას.

უნივერსიადა 2025" -ის ფარგლებში ჩატარდა:

24-26 აპრილი	კალათბურთის მატჩი
27 აპრილი	ფუტსალის მატჩი
5-6 მაისი	ფრენბურთი
5 მაისი	ფუტსალის სტუდენტური ჩემპიონატი
6 მაისი	ტურნირი ფრენბურთში (გოგოები)

„სტუდფესტი 2025“ -ის ფარგლებში ჩატარდა:

30 აპრილი	პადელი
2 მაისი	სროლა
3 მაისი	კარტინგი, ფეინთბოლი, მაისი, მკლავჭიდი
4 მაისი	მაგიდის ჩოგბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭადრაკი და ნარდი;
6 მაისი	კლდეზე ცოცვა
7 მაისი	ძიუდო
8-9 მაისი	ქუჩის ფეხბურთის, ფეინთბოლის, კარტინგისა და 3X3-ზე კალათბურთის ტურნირები
13 მაისი	7 კაცა რაგბი
14 მაისი	მინი ფეხბურთი
15 მაისი	ბილიარდი
16 მაისი	ბოულინგი
18 მაისი	გოგოების ფრენბურთი
21 მაისი	სპრინტი
25 მაისი	კიბერ სპორტი(ფიფა)

სტუდენტურ საქმეთა სამსახურის მიზანია, ყველა აქტივობა დაიგეგმოს სტუდენტთა საჭიროებების, პრობლემებისა და ინტერესების გათვალისწინებით. ამ მიზნით, ყოველწლიურად ტარდება კვლევა,

რომლებიც ეხება მათ ინტერესებს და საჭიროებებს. მიღებული შედეგების საფუძველზე განისაზღვრება მიზნები და ფორმირდება სამოქმედო გეგმა.გარდა ამისა, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ტარდება კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა, რომელიც მოიცავს მათ მოსაზრებებს აქტივობებზე, დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე. ამავე კვლევაში კურსდამთავრებულები აფასებენ საგანმანათლებლო პროგრამებს, სწავლების ხარისხს და მიღებულ სერვისებს. აღნიშნული მონაცემები უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს, განუწყვეტლივ გააუმჯობესოს სტუდენტური გამოცდილება და მომსახურების ხარისხი.

იურისტი

იურისტის მიერ საანგარიშო წლის პერიოდში მომზადდა 200-მდე ბრძანება, 150-მდე ხელშეკრულება, არაერთი საქმიანი წერილი, რწმუნებულება, განცხადება და სხვა. იურისტი უზრუნველყოფდა განათლების, პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და უნივერსიტეტთან დაკავშირებულ სხვა სფეროებში მოქმედი კანონმდებლობის ანალიზის, აღნიშნულის შესაბამისად მოქმედებას, ასევე, შიდამარეგულირებელი აქტების ანალიზსა და საჭიროების შემთხვევაში შიდა აქტებში ცვლილებების ასახვასა და დაინტერესებულ პირთა კონსულტირებას.

საანგარიშო წლის განმავლობაში შემუშავდა/შეიცვალა ხელშეკრულების შაბლონები და სხვადასხვა მარეგულირებელი წესი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაიხვეწა აღნიშნული საკითხების მომწესრიგებელი მუხლები ხელშეკრულებებში, შემუშავდა ინფორმირებული თანხმობის ფორმები, განახლდა ზოგიერთი წესი და შემუშავდა დამატებითი დოკუმენტები, მაგ., განახლდა მონაცემთა დაცვის პოლიტიკა და ნომენკლატურა, შემუშავდა ინციდენტზე რეაგირების პოლიტიკა, საინფორმაციო ბროშურა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მონიტორინგის ფარგლებში შესრულებული სამუშაოები. კერძოდ, იურისტი მონაცემთა დაცვის ოფიცერთან ერთად აქტიურად იყო ჩართული ყველა ეტაპზე, დაწყებული წერილობითი პოზიციის მომზადებიდან, დასრულებული ადგილზე და ონლაინ შემოწმებაში მონაწილეობითა და დამაზუსტებელი ინფორმაციების წარდგენით.

ამას გარდა, მომზადდა სხვადასხვა შიდასაუნივერსიტეტო წესის პროექტი. კომპეტენციის ფარგლებში, იურისტის მიერ განხორციელდა მონიტორინგი სხვადასხვა ტიპის დოკუმენტაციასა და საქმისწარმოებაზე. ის ჩართული იყო აკრედიტაციის პროცესებში, რაც გულისხმობდა დოკუმენტების მომზადებას, თვითშეფასების პროცესსა და სააკრედიტაციო ვიზიტში მონაწილეობის მიღებას. წლის განმავლობაში როგორც ზეპირსიტყვიერად, ისე წერილობით იურისტის მიერ კონსულტაცია გაეწია პერსონალსა და სტუდენტებს არაერთ საუნივერსიტეტო სამართლებრივ საკითხზე. იურისტი

ჩართული იყო დისციპლინური კომისიის მუშაობაში, ახორციელებდა წარმომადგენლობას და ამყარებდა კომუნიკაციას საჯარო უწყებებთან; იღებდა მონაწილეობას კერძო ორგანიზაციებთან/პირებთან მოლაპარაკების პროცესში.

ბიბლიოთეკა

2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აქტიურად იყო ჩართული აკრედიტაციის პროცესში.

ბიბლიოთეკის მიერ შემოწმებულ იქნა შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსები:

- ბიზნესის პროგრამების კლასტერი;
- აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა;
- ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა.

შემოწმდა სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა, რის შედეგადაც სრულად შეივსო საბიბლიოთეკო ფონდი, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული რესურსებით.

ბიბლიოთეკის ჩართულობით აქტიურად დაიწყო წინამოსამზადებელი სამუშაოები სამართლის პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის მიმარულებით;

2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტებისთვის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ჩატარდა:

- სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტმა ახალი გამოცემა წარადგინა.
- მარიამ გორგოძის წიგნი - „იურისტის კვალიფიკაციის დადასტურება და პრაქტიკულ იურიდიულ საქმიანობაზე დაშვების ქართული მოდელი“
- 2025 სასწავლო წლის დასაწყისში ბიბლიოთეკამ ჩაატარა საკონსულტაციო- შეხვედრები. დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდა: “Open Biblio” კატალოგის შესახებ, თუ როგორ შეძლებდნენ მათთვის სასურველი ბიბლიოგრაფიული ძიების განხორციელებას და ელექტრონული რესურსებით სარგებლობას. შეხვედრის მეორე ნაწილი დაეთმო საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებს.
- 2025 სასწავლო წლის დასაწყისში ბიბლიოთეკამ მონაწილეობა მიიღო საორიენტაციო შეხვედრაში აკადემიური და მოწვეული პერსონალითვის.

საორიენტაციო შეხვედრების გარდა, მოთხოვნის შესაბამისად ბიბლიოთეკაში ხდება მოთხოვნადი წიგნების გაციფრულება.

ბიბლიოთეკის ფონდს დაემატა:

- წიგნი - 600
- პერიოდიკა - 65
- ელ. ვერსია - 850
- სამაგისტრო ნაშრომი - 38
- სადოქტორო ნაშრომი- 28
- რიდერი- 10

2025 სასწავლო წლის დასაწყისში, ბიბლიოთეკაში განხორციელდა მკითხველთა რეგისტრაცია, გაწევრიანდა 440 სტუდენტი. ბიბლიოთეკამ უზრუნველყო ერთ წლიანი გამოწერა შემდეგი ჟურნალების: National Geographic, Entrepreneur, Forbes, არილი. ბიბლიოთეკამ ასევე განაახლა სამეცნიერო ბაზების გამოწერა: Ebsco, HeinOnline, Elsevier,Uptodate, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

ბიბლიოთეკამ უკვე რამდენიმე წელია უნივერსიტეტში საფუძველი ჩაუყარა მაკულიტერატურის კამპანიას, რის მიხედვითაც ბიბლიოთეკის ფონდს ემატება მხატვრული ლიტერატურა. ამ მიმართულებით 2024-2025 სასწავლო წლებში მხატვრულ ფონდს დაემატა 30-მდე ლიტერატურა.

თბილისის წიგნის 27-ე საერთაშორისო ფესტივალზე, ბიბლიოთეკამ აქტიური მონაწილეობა მიიღო.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტის მიერ გამოცემული წიგნების გავრცელებაში და თანამშრომლობს „წიგნის სახლი ლიგამუსი“-თან.

საქმისწარმოების სამსახური

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის აღწერა:

- განხორციელდა უნივერსიტეტის საქმისწარმოების პროცესის ორგანიზება და კოორდინირება.
- საქმისწარმოების ჟურნალების და სხვა დოკუმენტების წარმოება.
- მატერიალური სახით და ელექტრონული ფორმით შემოსული, გაგზავნილი და შიდა დოკუმენტების გაფორმება, საჭიროებისამებრ გადამისამართება, შესრულების ვადების კონტროლი და ადრესატისთვის დროულად მიწოდება.

- ბრძანებების, ცნობების, წერილების და სხვა დოკუმენტების სისწორის შემოწმება, უნივერსიტეტის ბლანკებზე გადატანა, გაფორმება, ტექნიკური უზრუველყოფა და ვადების დაცვით ადრესატისა და დაინტერესებული პირებისთვის გაგზავნა.
- სტუდენტების და აკადემიური პერსონალის კითხვებზე (როგორც ონლაინ, ისე ადგილზე) პასუხის გაცემა ჩემი კომპეტენციის ფარგლებში და საჭიროებისამებრ გადამისამართება
- საფოსტო გზავნილების მომზადება და გაგზავნა. შემოსული წერილების მიღება და ადრესატისთვის გადაცემა.
- მაგისტრანტობისა და დოქტოტანტობის კანდიდატთა, ასევე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობით გადმომსვლელი სტუდენტების საბუთების მიღება, შემოწმება და შესაბამის ფაკულტეტებზე გადაცემა.
- სილქნეტის კორპორაციულ ქსელთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება.
- აკადემიური კონკურსის გამოცხადების შემდეგ, განცხადების დასაქმების რომელიმე ცნობად გვერდზე და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსების უზრუნველყოფა. კონკურსის ჩატარების ორგანიზება, მისი ჩატარების უზრუნველყოფა, ოქმის შედგენა და გამარჯვებული კანდიდატების ინფორმირება.
- უნივერსიტეტის მიერ გამოცემული წიგნების და ჟურნალების კორექტურა

წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა დეტალურად: (ცხრილი 1)

აქტივობის დასახელება და აღწერა	განხორციელდა თუ არა სრულად	აღწერეღ მიღებული შედეგი:	განხორციელების თარიღი:	სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული	სტარტეგიული გეგმის გარეშე განხორციელებული	კომენტარი:
შემოსული კორესპონდენციის, მიღება, შესაბამის ჟურნალში გატარება, დანიშნულების მიხედვით მიწოდება; ელექტრონულად ექსელის ფაილში გადატანა	განხორციელდა სრულად	2495 წერილის მიღება, გატარება და გადასამიმართება	1.09.2024-31.08.2025	–	უნივერსიტეტის საქმისწარმოების საჭიროებიდან გამომდინარე	
გასაგზავნი კორესპონდენციის, ადრესანტისგან მიღება, დამუშავება, გაფორმება და დანიშნულებისამებრ გაგზავნა; ელექტრონულად ექსელის ფაილში გადატანა	განხორციელდა სრულად	840 წერილის ბლანკებზე გადატანა, ნუმერაციის დატანა, გაფორმება და ელექტრონულად ან მატერიალური სახით გაგზავნა ადრესატთან	1.09.2023-31.08.2024	–	უნივერსიტეტის საქმისწარმოების საჭიროებიდან გამომდინარე	
შიდა კორესპონდენციის, მიღება, შესაბანის ჟურნალში გატარება და ექსელის ფაილში გადატანა	განხორციელდა სრულად	190 წერილის მიღება ადრესანტიდან და ადრესატისთვის გადაცემა. ადრესანტიდან მიღებული პასუხის ადრესატისთვის გადაცემა (საჭიროების შემთხვევაში)	1.09.2023-31.08.2024		უნივერსიტეტის საქმისწარმოების საჭიროებიდან გამომდინარე	

ბრძანებების ბლანკებზე გადატანა, გაფორმება, ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალში აღრიცხვა და ექსელის ფაილში გადატანა	განხორციელდა სრულად	180 ბრძანების ბლანკებზე გადატანა, გაფორმება და დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა. ბრძანებების დრაივზე განთავსება	1.09.2023-31.08.2024		უნივერსიტეტის საქმისწარმოების საჭიროებიდან გამომდინარე	
აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადება. განცხადების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და hr.ge-ზე განთავსება	განხორციელდა სრულად	კონკურსის ჩატარების ორგანიზება, ოქმის შედგენა არჩეული იქნა 1 პროფესორი; 1 ასოცირებული პროფესორი; არჩეულ კანდიდატებს ეცნობათ ელექტრონულ ფოსტაზე	21.10.2024	ამოცანა 6.1 აკადემიური პერსონალის რაოდენობის ოპტიმიზაცია		
აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადება. განცხადების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და hr.ge-ზე განთავსება	განხორციელდა სრულად	კონკურსის ორგანიზება, ოქმის შედგენა,არჩეულ იქნა 3 (სამი) პროფესორი; 1 (ერთ) ასოცირებული პროფესორი. არჩეული პროფესორის ინფორმირება	27.12.2024	ამოცანა 6.1 აკადემიური პერსონალის რაოდენობის ოპტიმიზაცია		

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადება. განცხადების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და hr.ge-ზე განთავსება	განხორციელდა სრულად	კონკურსის ორგანიზება, ოქმის შედგენა,არჩეულ იქნა 7 (შვიდი) ასოცირებული პროფესორი; 2 (ორი) ასისტენტი არჩეული პროფესორის ინფორმირება	21.02.2025	ამოცანა 6.1 აკადემიური პერსონალის რაოდენობის ოპტიმიზაცია		
მაგისტრანტობისა და დოქტოტანტობის კანდიდატთა, ასევე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობით გადმომსვლელი სტუდენტების საბუთების მიღება, შემოწმება და შესაბამის ფაკულტეტებზე გადაცემა.	განხორციელდა სრულად		2025-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი	ამოცანა 1.5.2 ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობების განვითარება		
უნივერსიტეტის მიერ გამოცემული წიგნების და ჟურნალების კორექტურა	ნაწილობრივ		2024-2025	ამოცანა 4.4 საერთაშორისო პერიოდული ჟურნალის გამოქვეყნება		ეს ღონისძიება არ შედის ერთიანი საქმისწარმოების საქმიანობაში და ვაკეთებ საკუთარი სურვილით